2010 წელი, 4-10 ნოემბერი
ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№33 (507) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

# ისევ განათლების საკითხებზე

ტფილისი, 26 ოქტომბერი, 1889 წ.

დღეს ჩვენშიაც-კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს – რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არც სცივა, ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.

ჩვენი შეცდომა სწორედ ამაშია. ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რაიმე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია. დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი-კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის ულირსსა და გამოუსადეგს.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიმაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალწინ ედოს და ვერა ჰხედავს უცოდინარობით და ან ჰხედავს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი კი – ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრეს წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

ესეთი ძლიერება ცოდნისა და სწავლა-განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალ-წინ შესაძლოა კაცმა დაინახოს. რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა-პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ-კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა, ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა-პურის ილაჯს ვერსად გამხდარვართ, და ის-კი აღარ გვახსოვს, ის-კი აღარ გვაგონდება – სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

საკვირველია! თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზე დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის-კი ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა“ სოფელი არ აშენდება.

რათ არის ესე? იმიტომ არის, რომ უცხო-ქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და ურომლისოდ ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგი, და უქმი და გამოუსადეგი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, ქონების გამლებია და არა მომღები. ეხლანდელს დროში ნურვინ იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჭიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ? ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს.

ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობნიან,



ყველგან იგინი წინ გვასწრებენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენ-კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრელობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჭიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფ-იარაღებულს, ცოდნითა და სწავლით გაძლიერებულს, გაღონიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა, უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორ წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან.

აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროთ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი...

*ილია ჭავჭავაძე*

ეროვნული გამოცდები
5 წლის შედეგები
გვერდი 2

პროფესიული განათლება
კანონმდებლობას აცდენილი „არგუმენტების“ პასუხად
გვერდი 5

საუბრები ბიბლიაზე
ეს არის ამბავი ნოესი
გვერდი 7

მეთოდიკა
სიცოცხლის ძირითადი ნიშნები
გვერდი 8



ეროვნული გამოცდები

# 5 წლის შედეგები

**ეროვნულ გამოცდებს განათლების რეფორმის ერთ–ერთ ყველაზე დიდ წარმატებად მიიჩნევენ. ამ ხნის განმავლობაში, მკვეთრად შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება გამოცდების ახლებური სისტემის მიმართ. საინტერესოა, როგორ აფასებენ განვლილი ხუთი წლის შედეგებს ეროვნული გამოცდების ცენტრის საგნობრივი ჯგუფების ხელმძღვანელები. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს.**

**კახა ჯამბურია, ქართულის, როგორც მეორე ენის ჯგუფის ხელმძღვანელი:**

ბოლო ხუთი წლის შედეგების შესახებ თუ ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვითარება თანდათან ცოტათი უარესდება. რამ გამოიწვია ეს, ამის ზუსტად განსაზღვრა ძალიან ძნელია. საერთოდ, წერით დავალებაში კარგად ჩანს ხოლმე ბავშვის თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნების, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარი. სწორედ წერით დავალებაში გამოიკვეთა, რომ ბავშვები არაადეკვატურ პარალელებს ავლებენ ნაწარმოებებს შორის. მათ ჰგონიათ, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი აუცილებლად მისი დაკავშირებაა სხვა ნაწარმოებებთან. ამას მასობრივი სახე აქვს და პარალელები, ძირითადად, ნაძალადევია. წარმოიდგინეთ, ბავშვი გვადის სისხლიან ყამას ბარათაშვილის მერანს რომ შეადარებს, რა კავშირი შეიძლება ამათ შორის არსებობდეს?! ასეთი ნაძალადევი, ხელოვნური იმდენი რამ შეგვხვდა წლევანდელ ნაწერებში, რომ ბუნებრივად წარმოიშობა კითხვა – რა იწვევს ამას? ერთმა ჩვენმა გამსწორებელმა ივარაუდა, ის ხომ არა, რომ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ძირითადად, თემატური პრინციპითაა შედგენილი, მუდმივად არის რაღაც საკითხი და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექსტი. სწორედ ეს ხომ არ იწვევს იმას, რომ ბავშვები კონკრეტულ ნაწარმოებს, იქნება ეს ლექსი, მოთხრობა თუ ნაწყვეტი, სხვა ნაწარმოებებისაგან დამოუკიდებლად კი ვერ იაზრებენ და აანალიზებენ, არამედ ცდილობენ მაინცდამაინც რაღაცას შეადარონ?! ასეთი შედარებები ხშირად ხელოვნური და არაზუსტი გამოდის. როგორც ჩანს, სასწავლო პროცესია ისე აგებული, რომ ბავშვებს რჩებათ შთაბეჭდილება – ლიტერატურული ანალიზი აუცილებლად ითხოვს რაღაცასთან დაკავშირებას. მე კატეგორიულად ვერ ვიტყვი, ეს სახელმძღვანელოების ბრალია, სასწავლო პროცესისა თუ რისი, ამას ცალკე კვლევა სჭირდება, მაგრამ სურათი ასეთია. შეინიშნება სხვა უცნაური ტენდენციაც, რომელიც ადრე არ შეგვიმჩნევია: იყენებენ უცხო სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა აშკარად არ იციან. ხანდახან იმდენ უცხო სიტყვას იყენებენ, რომ აზრის გაგებაც ჭირს. შეიძლება ახალი სახელმძღვანელოების შემოსვლამ მასწავლებლებს გაუჩინა იმის მოთხოვნილება, რაც შეიძლება მეტი ტერმინი ასწავლონ, არ ვიცი. მაგალითად, ერთი აბიტურიენტი ხშირად იყენებდა სიტყვას „მეტაპლაზმი“ აბსოლუტურად უაზროდ, ისე, რომ ვერ გაიგებდი, რა არის ეს მეტაპლაზმი, რაში გვჭირდება ან რა შუაშია ლიტერატურული ანალიზის დროს, რატომ დაისახა მიზნად მისმა მასწავლებელმა ამდენი უცხო სიტყვა ასწავლოს და გამოაყენებინოს ანალიზისას, გაუგებარია.

ჩემს ახალგაზრდობაში იყო ასეთი ნაკლი ჩვენი კრიტიკისა, ლიტერატურათმცოდნეობისა – რაც უფრო მეტად გაუგებრად წერდა და მეტ უცხო სიტყვას იყენებდა ავტორი, უფრო განათლებული ჩანდა. ეს მეტისმეტად პროვინციული მიდგომაა, სამწუხაროდ, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების ნაწილი იყო ასეთი და საშინელი საკითხავი იყო მათი წერილები. მეგონა, ეს წარსულს ჩაბარდა, ამის დრო გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, წლევანდელ ნაწერებში ასეთი ტენდენციები გაჩნდა.

კიდევ, რა შთაბეჭდილებაც შეგვექმნა ხუთი წლის განმავლობაში და რაც ძალიან ეტყობათ აბიტურიენტებს, ეს არის უწიგნურობა. ეს თაობა ძალიან ცოტას კითხულობს, რაც ჩანს კიდეც მათ ნაწერებში – ძალიან მწირი ლექსიკური მარაგი აქვთ, უჭირთ აზრის გასაგებად ჩამოყალიბება, ამიტომ ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებენ. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ძალიან ცოტა აქვთ წაკითხული, რადგან, როცა მიზნად ისახავენ პარალელის გავლებას, ისეთი არაადეკვატურია ეს პარალელები, რომ არა მარტო წაკითხულის, არამედ ნანახის, ვთქვათ პიესის ან ფილმის, გამოყენებასაც ვერ ახერხებენ. ეტყობა, ცოტა სპექტაკლი აქვთ ნანახი, რჩება შთაბეჭდილება, რომ მათი უმრავლესობა თეატრში საერთოდ არ დადის, არც წიგნებს კითხულობს და, როგორც ჩანს, ძირითადად, უყურებს ჰოლივუდის იაფფასიან პროდუქციას, რომელიც არ აძლევს მას სულიერ საზრდოს.

რასაც ამ გამოცდების დროს ვუყურებ, ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, სასწავლო პროცესის ხარვეზია, რასაც თავისთავად იწვევს ის, თუ როგორ არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი, პედაგოგთა კვალიფიკაცია და ბოლოს – სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოები თანდათან უმჯობესდება და მასწავლებელს დიდი არჩევანი აქვს, ამიტომ მაინცდამაინც სახელმძღვანელოებს ვერ დავაბრალებთ ამ შედეგს. ის, რომ სახელმძღვანელოებში ლიტერატურული მასალა თემატურადაა დალაგებული, შეიძლება მასწავლებელმა ძალიან კარგადაც გამოიყენოს, შესაბამისად, მიიღოს ძალიან კარგი შედეგი და, იმავდროულად, ასეთი კატასტროფულიც. ალბათ, ჩვენი მასწავლებლები არ იყვნენ მზად ახალი სახელმძღვანელოების გამოყენებისთვის, არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია ან ისეთ დროს მიიღეს ეს სახელმძღვანელოები, რომ კარგად შესწავლა-გააზრება ვერ მოასწრეს. როგორც წესი, სასწავლო წლის დასაწყისში იღებენ ახალ სახელმძღვანელოებს, რაც არ ვარგა. ევროპაში მასწავლებელი ერთი წლით ადრე იღებს სახელმძღვანელოს, გამომცემლობა უგზავნის. ისინი მთელი წლის განმავლობაში შეისწავლიან და იაზრებენ, როგორ შეიძლება მისი გამოყენება. კარგი იქნება, ჩვენი გამომცემლობები თუ გაითვალისწინებენ მათს გამოცდილებას. არ შეიძლება სექტემბერში 400-გვერდიანი წიგნი მისცე მასწავლებელს (ერთ-ერთ კლასშია ასეთი უალტერნატივო სახელმძღვანელო) და უთხრა, ამით უნდა ასწავლო. შეიძლება სექტემბერში მან ამდენი ახალი მასალა გაიაზროს, მეთოდოლოგიურად დაამუშაოს და სწორად გამოიყენოს გაკვეთილზე? შედეგად ვიღებთ იმ სურათს, რაც წლევანდელ გამოცდებზე გვქონდა. თავისთავად მისასალმებელია, როცა სახელმძღვანელოში შეტანილია მსოფლიო ლიტერატურის ძალიან კარგი ნიმუშები, მაგრამ როგორ არის ეს დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორ გაიაზრა მასწავლებელმა, რა მიიტანა მოსწავლემდე და როგორ ამუშავა, ამის შეფასება ძნელია. თუ მხოლოდ გამოცდების შედეგებით ვიმსჯელებთ, კატასტროფაა.

როგორც ჩანს, გარკვეული საკითხები სერიოზულადაა გადასახედი. კარგი იქნება, თუნდაც თქვენმა რედაქციამ მოიწვიოს მასწავლებლები და ჩაატაროს დისკუსია. საინტერესო იქნება იმ მასწავლებელთა აზრის მოსმენა, რომლებიც გასწორების პროცესში მონაწილეობდნენ და იციან ეს ხარვეზები. ისინი სკოლაშიც ასწავლიან, შემდეგ კი საგამოცდო ნაშრომების გასწორებისას ხედავენ შედეგს – სწორედ ამ ადამიანებს უნდა ჰკითხოს საზოგადოებამ აზრი და სამინისტრომაც მათ უნდა მოუსმინოს. სამწუხაროდ, ჩინოვნიკები ხშირად ისე იღებენ გადაწყვეტილებას, რომ არ ეკითხებიან პროფესიონალებს. მაგალითად, ვთქვათ, 2-3 წელია შემოვიდა ახალი სახელმძღვანელო, ვკითხოთ პრაქტიკოს მასწავლებელს აზრი, როგორ იყენებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სახელმძღვანელო უალტერნატივოა. ჩვენი გამოცდების შედეგების მიხედვით, სურათი თითქოს უარესდება. იქნებ მათ გვითხრან ამის მიზეზი. მე პირადად ამაზე პასუხი არა მაქვს, მაგრამ ამ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ.

> **საინტერესო იქნება იმ მასწავლებელთა აზრის მოსმენა, რომლებიც გასწორების პროცესში მონაწილეობდნენ და იციან ეს ხარვეზები. ისინი სკოლაშიც ასწავლიან, სწორედ ამ ადამიანებს უნდა ჰკითხოს საზოგადოებამ აზრი და სამინისტრომაც მათ უნდა მოუსმინოს.**

> **რასაც ამ გამოცდების დროს ვუყურებ, ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, სასწავლო პროცესის ხარვეზია, რასაც თავისთავად იწვევს ის, თუ როგორ არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი, პედაგოგთა კვალიფიკაცია და ბოლოს – სახელმძღვანელო.**

---

**სოფო დოლიძე, ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი:**

რაც შეეხება ზოგადი უნარების გამოცდას, ცნობილია, რომ აბიტურიენტებს აქვთ განცდა, თითქოს ის ყველაზე რთულია. ასეთი დამოკიდებულება ადეკვატური იყო იმ პირობებში, როდესაც ზოგადი უნარების ტესტზე დამოკიდებული იყო სწავლის დაფინანსება. ამ შემთხვევაში, ტესტს ზედმეტი პასუხისმგებლობაც კი ეკისრებოდა და აქედან გამომდინარე, ძალიან სტრესული იყო თვითონ აბიტურიენტებისთვის. მათი დაფინანსება ამ ერთ დღეზე, ერთ გამოცდაზე იყო დამოკიდებული. დაძაბულ ვითარებაში უწევდათ მუშაობა და ეს ემოციური ფონი ქმნიდა სირთულის განცდას. რეალურად ზოგადი უნარების გამოცდა ყველაზე რთული ნამდვილად არ იყო, ყველა არჩევითი საგნობრივი გამოცდა მასზე რთულია.

თუმცა პირველ წელთან შედარებით ტესტის საშუალო მაჩვენებელმა დაიწია. ტესტი შედარებით რთული გახდა, 2007 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ტესტები თანაბარი სირთულისაა. მართალია, ექსპერტული შეფასებებით ტესტი არ იყო გართულებული, მაგრამ შედეგი გვიჩვენებდა, რომ აბიტურიენტები ისეთი წარმატებით ველარ ართმევდნენ თავს ამა თუ იმ დავალებას. ვცდილობდით, აგვეხსნა ამის მიზეზი და ყველაზე ადეკვატურად მეჩვენება ის მოსაზრება, რომ აბიტურიენტებს, რომლებიც 2008-10 წლებში მოვიდნენ გამოცდის ჩასაბარებლად, ძალიან რთულ პერიოდში მოუწიათ სასკოლო ეტაპის გავლა. ეს ბავშვები დაიბადნენ, დაახლოებით, 1993-94 წლებში. ვიცით, როგორი ვითარება იყო იმ წლებში საქართველოში. საერთოდ, როდესაც უნარებზე ვლაპარაკობთ, ეს არის ერთგვარი ბუნებრივი შესაძლებლობა, რომელიც დაბადებიდანვე ვითარდება. ადამიანის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი ცხოვრების პირველი ხუთი წელი, რომ თანაბრად და ეტაპობრივად განუვითარდეს სხვადასხვა სახის ინფორმაციის აღქმის უნარი შეხებით, მოტორიკით, შემდეგ ბავშვი ვერბალურ ინფორმაციაზე გადადის და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ უნარების განვითარების უდიდესი წილი სასკოლო ასაკზე მოდის, მაგრამ სკოლამდელი ეტაპიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო წლებში აბარებენ გამოცდებს, ისეთ პირობებში იზრდებოდნენ, როდესაც არ ჰქონდათ შუქი, სციოდათ, მშობლების ერთადერთი საზრუნავი მათი გამოკვება იყო. აღარ იყო ლაპარაკი ტელევიზიით მულტფილმებისა და საბავშვო ფილმების ყურებაზე, ან იმაზე, რომ მათთვის წიგნები შეეძინათ, წაეკითხათ, ემღერათ და გაერთოთ, ყველაფერს მოკლებულები ელემენტარულად სიბნელეში და სიცივეში იზრდებოდნენ. აქედან გამომდინარე, აბიტურიენტთა შედარებით დაბალი მიღწევები არა მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდაზე, არამედ სხვა გამოცდებზეც, უფრო გლობალური პრობლემაა, ვიდრე მხოლოდ ერთი – აკადემიური სფეროსი. ვფიქრობთ, რომ წლევანდელი შედეგების ერთგვარი ახსნა ესეც არის. იმედი გვაქვს, ვითარება გაუმჯობესებისკენ წავა. მიუხედავად ყველაფრისა, მათ მაინც ძალიან ბევრს მიაღწიეს იმიტომ, რომ წელს საკმაოდ რთული ბარიერები გადალახეს – ყველა აბიტურიენტს ჩასაბარებელი ჰქონდა მეოთხე საგანი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თითქმის ყველა საგანში, 25%-მდე გაიზარდა. ვფიქრობ, ის, რომ ბევრმა აბიტურიენტმა წარმატებით გაართვა თავი გამოცდებს, დიდი მიღწევაა.

მოგეხსენებათ, ზოგადი უნარების ტესტი ორი ბლოკისგან შედგება – ვერბალური და მათემატიკური.

წელს აბიტურიენტებს მცირე სიახლეს ვთავაზობთ შინაარსის თვალსაზრისით – მათემატიკურ ნაწილს დაემატა ერთი ბლოკი – *მონაცემთა საკმარისობა*, ძალიან საინტერესო დავალებებია, რომელთა მიზანია არა კონკრეტული ამოცანის ამოხსნა და პასუხის მიღება (როგორც ეს სტანდარტული ამოცანების ბლოკშია), არამედ იმის განსაზღვრა – რა ინფორმაცია, რა მონაცემებია საჭირო იმისათვის, რომ ამოცანა ამოიხსნას. აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს, რა არის აუცილებელი დავალებაში მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად. მალე გამოვაქვეყნებთ ტესტური დავალებების ნიმუშთა კრებულს, რომელშიც ამ ბლოკის დავალებები (სათანადო განმარტებით და ინსტრუქციით, რა მოეთხოვება აბიტურიენტს) იქნება განხილული, რომ აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდეთ, კარგად გაეცნონ ამ სიახლეს. გამოცდისთვის მომზადების პროცესში მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ბევრი დავალების ამოხსნა არაფერს იზამს, აუცილებელია სათანადოდ გავიაზროთ – რა გამოცდაზე მივდივართ, როგორია ტესტის ფორმატი, რა ტიპის დავალებები უნდა შევასრულოთ, რა ინსტრუქციები იქნება შესასრულებელი... თუკი ეს ყველაფერი წინასწარ გვეცოდინება, გამოცდაზე დროს აღარ დავკარგავთ და საშუალება გვექნება, 3 საათი (მთელი საგამოცდო დრო) დავალებების შესრულებას დავუთმოთ. როდესაც დავალების ფორმატი და ამოხსნის ხერხები ვიცით (რასაც ჩვენი კრებული სთავაზობს აბიტურიენტებს), მგონია, რომ ეს უკვე ძალიან სერიოზული მომზადებაა ზოგადი უნარების გამოცდისთვის.

ისევ მათემატიკურ ნაწილს დავუბრუნდები – თუ აბიტურიენტი გრძნობს, რომ რაღაც დანაკლისი აქვს მათემატიკის ცოდნაში, რა

> **ჩვენ განსაკუთრებით შეშფოთებულები ვართ იმით, რაც ამ ბოლო დროს შევიტყვეთ – ზოგადი უნარები დაწყებით საფეხურზე ისწავლება, როგორც საგანი. გამოცემულია ტესტების კრებულები, რომლებიც ქართულისა და მათემატიკის სახელმძღვანელოებს ახლავს. მხოლოდ სათაურს გეტყვით „ზოგადი უნარ-ჩვევათა გასავითარებლად“. მე რომ მკითხოთ, ეს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.**

## ეროვნული გამოცდები

თქმა უნდა, ამ ცოდნის შევსებაზე უნდა იზრუნოს, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ხშირად ვხვდებით – სექტემბრიდან მოყოლებული „უნარებში“ მომზადება (ზოგიერთ ამას ორი წლის განმავლობაშიც აკეთებს), სრულიად წარმოუდგენელია.

ჩვენ განსაკუთრებით შეშფოთებულები ვართ იმით, რაც ამ ბოლო დროს შევიტყვეთ – ზოგადი უნარები დაწყებით საფეხურზე ისწავლება, როგორც საგანი. გამოცემულია ტესტების კრებულები, რომლებიც ქართულისა და მათემატიკის სახელმძღვანელოებს ახლავს. მხოლოდ სათაურს გეტყვით „ზოგადი უნარ-ჩვევათა გასავითარებლად“. მე რომ მკითხოთ, ეს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ გავაპროტესტოთ ერთი კონკრეტული სახელმძღვანელო ან ერთი რომელიმე სკოლის პოლიტიკა – ზოგადი უნარების, როგორც საგნის შეტანა სასწავლო განრიგში. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას გავაგებინოთ, რომ ეს დაუშვებელია, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, ეს ცუდი შედეგის მომტანია. გარდა იმისა, რომ ბავშვს არაფერში წაადგება, დააზარალებს კიდეც. ამიტომ, მართლაც შეშფოთებულები ვართ. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი. რა თქმა უნდა, სკოლას აქვს უფლება, ეროვნული სასწავლო გეგმის მიღმა შესთავაზოს მოსწავლეებს ესა თუ ის საგანი და ძალიან ბევრი სკოლა ამას ადეკვატურად ახერხებს (ჭადრაკი, ლიტერატურა და სხვა საინტერესო საგნები). ვფიქრობ, ზოგადი უნარების სწავლება უფრო კომერციული, მარკეტინგული ხერხი თუ დაინტერესების საშუალებაა, რასაც, სავარაუდოდ, ხელს უწყობს საზოგადოების არაინფორმირებულობა იმის შესახებ, რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება და რით დავაზარალებთ ჩვენს პატარას (ლაპარაკია I-II კლასელებზე).

**სკოლა, წლების განმავლობაში, სისტემატური და სწორი სწავლებით უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს უნარების გამომუშავებაში და არა – ასწავლოს საგანი „ზოგადი უნარები“.**

მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია, რა არის ზოგადი უნარები? ეს არის ლოგიკური, თანმიმდევრული აზროვნების შესაძლებლობა. შესაძლებლობის სწავლება ხომ არ შეიძლება. უნარები უნდა განვავითაროთ არა მხოლოდ დაწყებითი საფეხურიდან, არამედ გაცილებით უფრო ადრეული ეტაპიდან. როგორ და ვინ უნდა გააკეთოს ეს, რა მასალის საფუძველზე და როგორ შეაფასოს – ეს ის კომპონენტებია, რომელზეც აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ. პირველი წლებიდან ამას აკეთებენ მშობლები, ამიტომ მნიშვნელოვანია თვითონ მშობლების განათლება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. მათ უნდა შეაყვარონ შვილებს წიგნი სრულიად ბუნებრივად, დააინტერესონ სხვადასხვა სფეროთი, გააღვიძონ მათში შემეცნების ინტერესი. როდესაც ბავშვი მოდის სკოლაში, რა არის პირველი ამოცანა? ვასწავლოთ და შევაყვაროთ კითხვა. კითხვის სწავლებაში იმდენი რამ არის ჩადებული, ეს ისე ავითარებს უნარებს, რომ აქ კიდევ დამატებითი საგანი სრულიად ზედმეტია. თან უნარების განვითარება უნდა მოხდეს მრავალმხრივ, ამის „ჩაკეტვა“ ერთ საგანში დაუშვებელია. როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ბავშვი სწავლობს კითხვას და შესანიშნავ მოთხრობებს კითხულობს, უკვე პირველ კლასშივე უნდა მოხდეს ამ უნარების განვითარება, შეიძლება ვკითხოთ შინაარსი, ნაწარმოების დედააზრი – რა წავიკითხეთ, როგორია შენი აზრი, მოდი ვიმსჯელოთ და ა.შ. ასევეა ბუნების გაკვეთილებზეც, პედაგოგები (ხაზი მინდა გავუსვა – პედაგოგები, რომლებიც ამა თუ იმ საგნის სპეციალისტები არიან) ძალიან საინტერესო მასალას აწვდიან მოსწავლეებს, იმისათვის, რომ მათ დაინახონ მოვლენების არსებითი ნიშნები, ამ მოვლენებს შორის კავშირი, შეძლონ გარემოს მოთხოვნების გააზრება და მათზე ადეკვატური რეაგირება. იქაც გვხვდება ძალიან საინტერესო ტექსტები – გასააზრებლად საუკეთესო მასალა პატარებისთვის. როდესაც გაკვეთილზე პროფესიონალი პედაგოგი შედის, ჩვენ არანაირი რისკის წინაშე არ ვართ, რადგან მან იცის, როგორ მიაწოდოს ეს ყველაფერი მოსწავლეს, როგორ მისცეს ბიძგი აზროვნებისთვის, ფიქრისთვის, მსჯელობისთვის, როგორ გამოუმუშაოს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უნარი. ეს ხომ ასეც ხდება სკოლაში.

ნამდვილად იყო მცდელობა, სახელმძღვანელოები ისე აგებულიყო, რომ სასწავლო პროცესი სწორედ უნარების განვითარებაზე ყოფილიყო ორიენტირებული. მათემატიკის გაკვეთილზეც ის დავალებები, რომლებიც პირველ კლასშია, სწორედ აზროვნების უნარს ავითარებს, რაოდენობებსა და რიცხვებთან მიმართებაში. ეს ის უნარებია, რომლებიც წლების განმავლობაში უნდა განვითარდეს და მომავალში აბიტურიენტმა უნდა გამოავლინოს ეროვნულ გამოცდაზე. ამიტომ ერთ კონკრეტულ საგანში ამის მოქცევა შეუძლებელია.

საინტერესოა **ვინ ასწავლის ამ საგანს?** შეიძლება ის ადამიანი რომელიმე საგნის კარგი მცოდნე იყოს, მაგრამ საინტერესოა რამდენად კორექტულად აწვდის ის მოსწავლეებს უნარების განმავითარებელ სავარჯიშოებს.

მეორე საკითხია – **რას ვასწავლით?** უნარების სწავლა რომ შეუძლებელია, ამაზე შევთანხმდით, უნარებს მხოლოდ განვავითარებთ. სახელმძღვანელოს, რომელსაც მოსწავლეებს ვაწვდით, აწერია: „ზოგადი უნარები“, „ვერბალური ნაწილი“, „მათემატიკური ნაწილი“ – დაწყებითი კლასების მოსწავლეს ასეთი აბსტრაქტული ცნებების გაგების უნარი ამ ეტაპზე არ აქვს. რაც არ უნდა კარგი მოსწავლე და ნიჭიერი ბავშვი იყოს, მისთვის ეს გაურკვეველ სიტყვებად რჩება, რადგან აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას დრო სჭირდება და, ასე ვთქვათ, შესაბამისი ასაკი აქვს. აბსტრაქციის მაღალი ხარისხის გამო ჩნდება გაურკვევლობის განცდა, როცა მე არ ვიცი ბოლომდე, რასთან მაქვს საქმე, ეს კი ჩემში გარკვეულ უარყოფით ემოციას აღძრავს. ანუ ტერმინები „ვერბალური“, „ზოგადი უნარები“ უარყოფით ელფერს იძენს პატარებისთვის.

როგორც ვთქვით, მნიშვნელოვანია **მასალა, რომელსაც ვაწვდით ამგვარ გაკვეთილებზე**. ზოგ შემთხვევაში, ეს საკმაოდ კორექტული დავალებებია და შეიძლება ქართულის, მათემატიკის ან ბუნების წიგნში ყოფილიყო შეტანილი. ზოგ შემთხვევაში კი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან არაკორექტულად შექმნილი მასალაა. გამოცდების ცენტრი დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსების დანახარჯის შედეგად აღწევს იმას, რომ აქვს ზოგადი უნარების ტესტი. ტესტის შექმნას სჭირდება სათანადო ექსპერტები, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს. ამ ექსპერტების მომზადებაზე დაიხარჯა ძალიან სერიოზული დრო. ამ ადამიანებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს 7-8 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, დიდი დრო და ადამიანური რესურსები იხარჯება იმაზე, რომ რასაც ჩვენ შევქმნით, შემოწმდეს მრავალმხრივ – გაიაროს ექსპერტული შეფასება, საცდელი ტესტირება, რომელშიც ათასობით მოსწავლე, აბიტურიენტი თუ სტუდენტი მონაწილეობს. თუ ამ მეცნიერულ პროცედურებს არ გავივლით, არ გვექნება იმის გარანტია, რომ კორექტული დავალებები შევქმენით. არის სათანადო დრო და რესურსი დახარჯული იმ დავალებების შესაქმნელად, რომლებსაც ამ სახელმძღვანელოებში ვხვდებით? ვფიქრობთ – არა. თუ ამ სახელმძღვანელოებსა თუ ტესტების კრებულებს დავათვალიერებთ, დავრწმუნდებით, რომ მასალის კორექტულობაზე ექსპერტებს ნაკლებად უფიქრიათ. ზოგიერთი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. შეგნებულად არ მინდა დავასახელო კონკრეტული მაგალითები, რადგან ეს არ არის კამპანია რაღაცის წინააღმდეგ, ეს არის მცდელობა, მშობლებსა და მასწავლებლებს კიდევ ერთხელ ვუთხრათ: „ნახეთ ეს მასალა და დაფიქრდით. ხომ შეიძლება ჩვენი შვილების, მოსწავლეების უნარების განვითარებაზე ისე ვიზრუნოთ, რომ საერთოდ არ ვუხსენოთ მათ მეცნიერული ტერმინები, არ დავტვირთოთ ზიდმეტი სახელმძღვანელოებით. მათემატიკური ამოცანები, სხვადასხვაგვარი ტექსტები წავაკითხოთ სხვადასხვა გაკვეთილზე, თუნდაც, დავარქვათ ამ გაკვეთილებს „კითხვის გაკვეთილები“ ან „სახალისო მათემატიკის გაკვეთილები“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – „ზოგადი უნარები“, რაც მხოლოდ მარკეტინგული სვლაა, გათვლილი საზოგადოების არასაკმარისად ინფორმირებულობაზე.

**ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგადი უნარების ტესტი უმაღლესი სასწავლებლის საგამოცდო ტესტია და არა – სკოლის მიღწევების შესამოწმებელი.**

გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე – **შეფასება**. წარმოიდგინეთ, როდესაც მოსწავლე, ვთქვათ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაბალ შეფასებას იღებს, ისმენს მასწავლებლისგან ამგვარ კომენტარს: „დღეს ისე კარგად ვერ წაიკითხე, უკეთ შეგიძლია“... ან მათემატიკის გაკვეთილზე – „მე შენგან მეტს ველოდი“, „კარგად დაფიქრდი, შენ ამის ამოხსნას შეძლებ, თუ საშინაო დავალებას მოამზადებ“ და ა.შ. როდესაც ეს რომელიმე საგანთან დაკავშირებით ხდება, მოსწავლისთვის ყოველთვის არსებობს ერთგვარი „გამართლება“ – „სათანადო დრო არ დავუთმე“, „ცოტა ვიზარმაცე და ამიტომ არ გამომივიდა“, „გაკვეთილი არ ვისწავლე“. როდესაც მსგავსი ვითარება უნარებთან დაკავშირებით გვექნება, ეს ბევრად უფრო მტკივნეული იქნება და, სამწუხაროდ, არ ვართ დაზღვეული იმისგან, რომ ბავშვს ვინმე, თუნდაც თანაკლასელი, არაკორექტულად ეტყვის: „შენ უნარებში ვერაფერს ვერ აკეთებ და, საერთოდ, არ შეგიძლია აზროვნება“. პირველკლასელებში თუ არა, V-VI კლასელებს შორის მაინც ხომ შეიძლება შეგვხვდეს ასეთი კომენტარები. სამწუხაროდ, არც მასწავლებლის მხრიდან გვაქვს იმის გარანტია, რომ ყველა აბსოლუტურად კორექტულად შეაფასებს მოსწავლეს. ყოველივე ამან ძალიან სერიოზული, უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს მოსწავლის თვითშეფასებაზე და უკვე, წარმოიდგინეთ, დაბალი კლასებიდანვე მას გამოუმუშავდება მყარი უარყოფითი დამოკიდებულება „რაღაცის“ მიმართ, რაც XII კლასში ელის – ზოგადი უნარების გამოცდების მიმართ. თუ წლების განმავლობაში მოსწავლე ამ მუხტს ატარებს, რას მივიღებთ გამოცდაზე? თუკი უარყოფითი ემოციის გამო გამოცდაზე ტესტს შინაგანად „ვებრძოლეთ“, ვერ შევძლებთ ტესტზე მშვიდად მუშაობას და ჩვენი უნარების მაქსიმალურად გამოვლენას. იმისათვის, რომ წარმატებით ჩავაბაროთ ეს გამოცდა, უნდა ვიცნობდეთ ტესტს, ასე ვთქვათ, კომფორტულად უნდა ვგრძნობდეთ თავს მასთან.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგადი უნარების ტესტი უმაღლესი სასწავლებლის საგამოცდო ტესტია და არა – სკოლის მიღწევების შესამოწმებელი. ეს არის ტესტი, რომელიც ადგენს, რომ აბიტურიენტი, რომელსაც გარკვეული ხარვეზები აქვს ცოდნაში (მაგალითად, იმის გამო, რომ მაღალმთიან სოფელში ცხოვრობს, სადაც ზამთრობით რამდენიმე თვე შეიძლება ვერ იაროს სკოლაში), მაგრამ ზოგადად, სისტემატურად მეცადინეობს, ბეჯითად სწავლობს და ძალიან უნარიანი, აზრიანი ადამიანია, მზად არის, მიიღოს ახალი ცოდნა. ეს ტესტი დამატებითი ქულების მოპოვების შესაძლებლობაა ასეთი ახალგაზრდებისთვის. სკოლა, წლების განმავლობაში, სისტემატური და სწორი სწავლებით უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს უნარების გამომუშავებაში და არა – ასწავლოს საგანი „ზოგადი უნარები“.

ეს ის საკითხია, რომელზეც ახლა ყველაზე მეტს ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტეკლასელთა გამოცდებისთვის მზადების პრობლემაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მეთორმეტეკლასელები პიროვნულად ჩამოყალიბებულები არიან და მათ „საფრთხე“ არ ემუქრებათ. რაც შეეხება დაწყებით საფეხურზე უნარების სწავლებას, პირადად მე, ეს პრობლემა ბევრად უფრო მტკივნეულად მიმაჩნია. მინდა მოვუწოდო მშობლებსაც, პედაგოგებსაც და დირექტორებსაც – კარგად დაფიქრდნენ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვიქნებოდი უნარების, როგორც საგნის სწავლების. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ უნარების გამომუშავება სკოლაში ისედაც ხდება. თუ გვინდა, ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს, შეგვიძლია გავაკეთოთ კითხვის, ლიტერატურის გაკვეთილები, სახალისო მათემატიკა, ჭადრაკი და სხვ. როგორც კი საგანს გაურკვეველ სახელს დავარქმევთ და გაურკვეველი სახელმძღვანელოებით ვასწავლით, ძალიან დავაზარალებთ ჩვენს ბავშვებს.

---

**ივა მინდაძე, უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი:**

თუ ბოლო წლების ტენდენციაზე ვილაპარაკებთ, ჩანს, რომ მოთხოვნა ინგლისურ ენაზე იზრდება, შესაბამისად, მცირდება მოთხოვნა გერმანულსა და ფრანგულ ენებზე. რუსული ენის შემთხვევაში ვითარება უფრო სტატიკურია. პირველი წლის შემდეგ საგრძნობლად დაიკლო იმ აბიტურიენტთა პროცენტულმა რაოდენობამ, ვინც აბარებდა რუსულ ენას, მაგრამ მას შემდეგ რუსული ენის ჩამბარებელთა რაოდენობა ერთ ნიშნულზე გაჩერდა. რუსული ენის ჩამბარებელთა რაოდენობა, დაახლოებით, აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის მეოთხედია; ინგლისურის – თითქმის ორი მესამედია; ასე მაგალითად, წელს ფრანგულს 1000-მდე აბიტურიენტი აბარებდა, გერმანულს – 2500-მდე, რუსულს – 8000-მდე, ხოლო ინგლისურს – 22000-მდე აბიტურიენტი.

**ბოლო სამი წელია, შეიმჩნევა ისეთი ტენდენცია, რომ თითქმის ყველა წერს თხზულებას. ეს მისასალმებელია, რადგან აბიტურიენტები მეტ ყურადღებას აქცევენ ტექსტის პროდუცირებას, შექმნას. როგორც ჩანს ამას სკოლებშიც უფრო მეტი ყურადღება ექცევა, რაც თავისთავად კარგია.**

თუ ვილაპარაკებთ თვითონ აბიტურიენტების მომზადებაზე, ძნელია რაიმეს თქმა, ვინაიდან ჩვენი ტესტები გამიზნულია საშუალო დონის მომხმარებელზე. სირთულე, წლების განმავლობაში, თითქმის, უცვლელია. შეიცვალა მხოლოდ რამდენიმე დავალების ფორმა. შედეგიც ამ დროის განმავლობაში თითქმის უცვლელია. არ შეიმჩნევა არც პროგრესი და არც განსაკუთრებული რეგრესი, რაც, ჩვენს პირობებში, ეს უკვე ერთგვარი პროგრესია.

შარშან შეიცვალა ერთ-ერთი დავალების ფორმა – ეს იყო დახურული ტიპის, გრამატიკული დავალება. მოცემული იყო წინადადება, რომელიც აბიტურიენტს გარკვეული ინფორმაციით უნდა შეევსო, სამი მოცემული ვარიანტიდან. ამ დავალების ნაცვლად, ახლა მოცემულია ტექსტი, რომელიც ქმნის დავალების კონტექსტს, ამ ტექსტში გამოტოვებულია მაკავშირებელი სიტყვები, წინდებულები თუ სხვა გრამატიკული დატვირთვის მქონე სიტყვები, რომლებიც აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს. მოცემული კონტექსტი უადვილებს აბიტურიენტს დავალების შესრულებას.

გაიზარდა იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, ვინც წერით დავალებებს წერს. პირველ ორ წელს მათი რაოდენობა შედარებით მცირე იყო. ბოლო სამი წელია, შეიმჩნევა ისეთი ტენდენცია, რომ თითქმის ყველა წერს თხზულებას. ეს მისასალმებელია, რადგან აბიტურიენტები მეტ ყურადღებას აქცევენ ტექსტის პროდუცირებას, შექმნას. როგორც ჩანს ამას სკოლებშიც უფრო მეტი ყურადღება ექცევა, რაც თავისთავად კარგია. მოსწავლეს უვითარდება უნარი დაწეროს – წერილობით გამოთქვას საკუთარი აზრი და გარკვეული არგუმენტებით გაამყაროს ის.

მომავალ წელს ტესტის ცვლილება არ იგეგმება, ფორმატი დარჩება ისეთივე, როგორიც შარშან იყო. არც სირთულის მხრივ იგეგმება რაიმე ცვლილებები.

*რუბრიკა მოამზადა*
***ლალი თვალაბეიშვილმა***

საგანმანათლებლო კერა

# გელათის აკადემია



**გელათის აკადემია,** ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, დაარსდა 1106 წელს, გელათის მონასტერთან, დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ შეკრიბა სწავლული ქართველები. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართ-მოძღვარი. სასწავლო პროგრამა ძირითადად ტ რ ი ვ ი უ მ ი ს (გეომეტრია – „ქვეყნის საზომლოჲ“, არითმეტიკა – „რიცხუნი“, მუსიკა – „სამუსიკოჲ“) და კ ვ ა დ რ ი უ მ ი ს (ფილოსოფია სამი სახის – „საქმითი, მხედველობითი და განსიტყუელობითი“, რიტორიკა სამი სახის – „თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“, გრამატიკა და ასტრონომია – ვარსკვლავთმრიცხველობაჲ“) ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა.

სხვადასხვა დროს გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბულმაისიმის ძე, პეტრე გელათელი, ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ I, ზაქარია გაბაშვილი. გელათის აკადემიაში ინახებოდა მდიდრულად მორთული და მინიატურებით შემკული ქართული ხელნაწერები, რომელთა დიდი ფონდი აქ ძველთაგანვე არსებობდა.

გელათის აკადემია თავისი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობით იმდროინდელ კულტურულ სამყაროში არსებულ სახელგანთქმულ სამეცნიერო ცენტრებს უსწორდებოდა. იგი სათავეში ედგა საშუალო საუკუნეების ქართული კულტურის განვითარებას. გელათის აკადემიას ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი, მოძღვართ-მოძღვარი, ანუ რექტორი, რომელიც სახელმწიფოში უდიდესი გავლენით სარგებლობდა. ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ, მეფე დავითმა, გელათში მოიწვია გამოჩენილი ქართველი მეცნიერები საქართველოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან. გაჩაღდა მრავალფეროვანი ფილოსოფიურ-ლიტერატურული მუშაობა, რომელსაც, პირველ ხანებში, სათავეში ედგნენ დიდი მეცნიერები და ფილოსოფოსები – იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. თანამედროვეთა გადმოცემით, გელათი გადაიქცა „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა.“ გელათის აკადემია საქართველოში ადრეული რენესანსის (ჰუმანიზმის) იდეოლოგიური ცენტრი გახდა.

გელათის აკადემიასთან, რომელმაც ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება, დაკავშირებული იყვნენ სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეებიც: იოანე შავთელი, არსენ კათალიკოსი, პეტრე გელათელი, ანტონი (მე-13 ს.), საბა (მე-14 ს.), ილარიონი (მე-16 ს.), მანასე (მე-16 ს.) და ბევრი სხვა. აქ დაიწერა და ითარგმნა მრავალი ნაწარმოები. შეიქმნა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრი შედევრი. გელათშივე არსებობდა ოქრომჭედლობის მსოფლიოში განთქმული სკოლა. ამ სკოლის ატესტაციისათვის საკმარისია დავასახელოთ საქვეყნოდ ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომლის კარედიც აქ დამზადდა.

ბაგრატის ტაძარი, გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი და გეგუთის სასახლე ხელოვნების ის ძეგლებია, რომლებიც მიმართულებას აძლევდნენ შუა საუკუნეების ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას. ხოლო გელათის აკადემიის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართული კულტურისა და ხელოვნების, ქართველი ერის მაღალი ინტელექტუალური შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგაც კულტურული ცხოვრება ქუთაისში არ შეწყვეტილა. მწიგნობრულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-ლიტერატურული ინტერესები აქ საკმაოდ ძლიერი იყო.

დავით აღმაშენებელმა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სულიერი სფეროს გარდაქმნას მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება. შემთხვევით არ უწოდებია მისთვის ანტონ კათალიკოსს „მეფე ფილოსოფოსი“. დავით აღმაშენებელმა იცოდა, რომ სულიერი ცხოვრების გადაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო გონივრული პოლიტიკური კურსის განხორციელება. ამიტომაც იპყრობს მისი მოღვაწეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას რუის-ურბნისის საეკლესიო კრების საკითხი. ეს იყო ჰუმანიტარულ ღირებულებებზე აგებული გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოში XII-XIII საუკუნეებში მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. დავით აღმაშენებელმა საეკლესიო კრებას ურთულესი საკითხი გადააწყვეტინა – თანამდებობიდან დაითხოვეს მაღალი რანგის საეკლესიო პირები, რომლებიც „გვარიშვილობით“ და „მამულობით“ იყვნენ დაწინაურებული. მათ ნაცვლად დააწინაურეს პიროვნებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი მაღალი ღირსებით, ცოდნითა და განსწავლულობით. ეს იყო ეპოქალური გადაწყვეტილება, რომელიც მანამდე გაუგონარ ამბავს წარმოადგენდა. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში პირველი ვეზირობა სწორედ მწიგნობართუხუცესს მიაკუთვნა.

გაერთიანებულ საქართველოს მეცნიერების ცენტრი სჭირდებოდა და დავით აღმაშენებელს ამ მიზნის სამსახურში ესახებოდა გელათის აკადემია. იგი საქართველოში საერო და სასულიერო მეცნიერების ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც მეცნიერების ყველა დარგს აერთიანებდა. გელათის აკადემია გაერთიანებული საქართველოს ცენტრალურ სამეცნიერო დაწესებულებად ითვლებოდა, რომელზე დაყრდნობითაც სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა. გარდა შვიდი სამეცნიერო-სასწავლო დარგისა, რომელიც აქ ისწავლებოდა, დავით აღმაშენებელმა გელათში კიდევ ობსერვატორია და სამედიცინო დაწესებულება – ქსენონი დააარსა. ასე ესმოდა „მეფე ფილოსოფოსს“ მე-12 საუკუნეში მეცნიერული მართვის ორგანოს – გელათის აკადემიის დანიშნულება.

გელათის აკადემიაში დაიწერა და ითარგმნა მრავალი ისტორიული, ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაშრომი. აქ თარგმნა იოანე პეტრიწმა ბერძნული ენიდან ქართულად არისტოტელეს, ი. ფლავიოსის, პ. დიადოხოსის, ნ. ემესელის და სხვათა თხზულებანი და შრომები. აქვე თარგმნა არსენ იყალთოელმა „დიდი სჯულის კანონი“...

გელათის სამეცნიერო სკოლის მეშვეობით საქართველოში იქმნებოდა შესანიშნავი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ნაშრომები ქრისტიანული აზროვნებისა, ამ სკოლაში ინერგებოდა თანამედროვე ბიზანტიის უმაღლესი სკოლის ტრადიციები, ქართველი სწავლულები ესწრაფვოდნენ ძველი ბერძნული და ბიზანტიური მწერლობის ნაშრომების თარგმნას ქართულ ენაზე. გელათის აკადემიაში თავს იყრიდა მე-12 საუკუნემდე თარგმნილი ნაშრომები, აქ იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები. თუ რა შემოქმედებით დონეს მიაღწია გელათის სკოლამ, ამაზე ის ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტყველებს, რომელიც ხელნაწერი წიგნების სახითაა შემონახული. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მწიგნობრულ საქმიანობას, რომელიც ინტენსიურად გრძელდებოდა XII-XVI საუკუნეებში.

გელათის აკადემიამ მე-16 საუკუნემდე იარსება, მაგრამ მწიგნობრული საქმიანობა შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი გელათის აკადემიის ერთ-ერთი მემკვიდრე გახდა. ფასდაუდებელი განძი, რომელიც აქ შეიქმნა, ხელნაწერთა ფონდში დავანდა. ხელნაწერთა ფონდიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები. აქ სულ 700-მდე ხელნაწერი წიგნია დაცული, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მათი მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და კულტურული წარსულის შესასწავლად, არამედ მეზობელი და მახლობელი ქვეყნების კულტურის ისტორიის შესწავლისათვისაც მე-10 საუკუნიდან დაწყებული მე-19 საუკუნის ჩათვლით. ეს ხელნაწერი წიგნები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან არის შემოსული მუზეუმში; მათ შორის მეცნიერული ღირებულებითა და რაოდენობრივი სიმდიდრით გელათური ხელნაწერი წიგნები გამოირჩევა.

ძველი ქართული დამწერლობის თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა სახარება-სამოციქულო (№176), რომელიც შესრულებულია ეტრატზე ასომთავრულით მე-11 საუკუნის დასაწყისში.

ხელნაწერთა ფონდში დაცულია ხუთტომიანი მეტაფრასული აგიოგრაფიული კრებული, რომლის მეცნიერული მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით მეტად დიდია. ეს კრებული მე-11 საუკუნის ბიზანტიელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა იოანე ქსიფილინოსმა შექმნა. მან კრებულში მოათავსა მთელი წლის აგიოგრაფიული ტექსტები, აქედან 5 თვის (სექტემბრიდან იანვრამდე) მე-10 საუკუნეში იყო გაკეთებული სიმონ ლოღოფეტის მიერ, ხოლო დანარჩენი (შვიდი თვის – თებერვლიდან აგვისტომდე) კრებულის ავტორმა ი. ქსიფილინოსმა გადაამეტაფრასა. მაგრამ კრებულის ბერძნული ვარიანტი დაიკარგა, ამიტომ ეს მწერალი უცნობი იყო მეცნიერებისათვის. საბედნიეროდ შემოინახა კრებულის ქართული თარგმანი, გადაწერილი მე-16 საუკუნეში გელათში, რომელშიც 1912 წელს აკად. კ. კეკელიძემ ი. ქსიფილინოსის ანდერძი აღმოაჩინა. ამ აღმოჩენამ მაშინ დიდი სენსაცია გამოიწვია, როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში, გაირკვა რომ ს. ლოღოფეტის მიერ დაწყებული საქმე 100 წლის შემდეგ ი. ქსიფილინოსს გაუგრძელებია. ამჟამად ხუთივე ტომი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში (№1-5); ამათგან №1 ხელნაწერში მოთავსებულია ი. ქსიფილინოსის ანდერძი.

ი. ქსიფილინოსის აგიოგრაფიული კრებულის ცალკეული ტექსტები დაცულია აგრეთვე გელათის 10 ხელნაწერში – ზოგი ეტრატზეა დაწერილი, ზოგი – ქაღალდზე (XIII-XVIII სს). მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით ამ ძეგლებსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ.

ხელნაწერთა ფონდში დაცულია მე-11 საუკუნის ქართველი მწერლის ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკური ნაშრომი – „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ (2 წიგნი) და „თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ “ (1 წიგნი). სამივე ხელნაწერი (№3 19, 20, 21), დიდტანიანია, ეტრატზეა შესრულებული და დათარიღებულია: № 19 ხელნაწერი 1047 წელს ეკუთვნის, №20 – 1048 წელს, ხოლ ო №21 – 1053 წელს. ეს ხელნაწერები იმ მხრივაა საყურადღებო, რომ აქ მოცემულია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ძეგლების უძველესი და სწორი ქართული ტექსტები. ერთ ხელნაწერს (№20) დართული აქვს ექვთიმე ათონელის მამის, იოანეს ვრცელი ანდერძი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მან თავისი შვილი ექვთიმე განსწავლა ბერძნული ენიდან ქართულად წიგნების გადმოსათარგმნად.

ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანია მე-13 საუკუნის ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი (№22). წიგნში შესულია მეტად საყურადღებო ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები. ამ ხელნაწერში მოთავსებულია მე-11 საუკუნის შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა და პოეტის ეფრემ მცირეს მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი მხატვრული ძეგლი – „ასმუხლედი“ – გრიგოლ ნაზიანელისა. ამ თარგმანის გარდა ხელნაწერში შეტანილია მე-12 საუკუნის პოეტის იოანე შავთელის აკროსტიხული ლექსი „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“, რომელიც წარმოადგენს ლიტურგიკული წესით დაწერილ სამადლობელ იამბიკოს ღვთისმშობლის პატივსაცემად.

ქართული მწერლობის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ეფრემ მცირეს ეგზეგეტიკური ნაშრომი, „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (№29). ხელნაწერთა ფონდში ინახება მე-12 საუკუნის მოაზროვნის არსენ იყალთოელის მიერ გელათში ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნილი დიდი „სჯულის კანონის“, ოთხი ხელნაწერი წიგნი (№№17, 25, 26, 465); აქედან ორი ნუსხა (№№17, 25) გადაწერილია მე-13 საუკუნეში. ამ ნუსხებში დაცულია „სჯულის კანონის“ ძველი და სწორი ქართული ტექსტი. მომდევნო ორი ნუსხა მე-18 საუკუნეშია გადაწერილი, აქვეა არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული – „დოგმატიკონი“, რომელშიც თავმოყრილია ბერძნულიდან გადმოთარგმნილი დოგმატიკურ-ფილოსოფიური და პოლემიკური ძეგლები (№15, 23, 24,). მათ შორის №23 ხელნაწერი წიგნი ეტრატზეა დაწერილი მე-13 საუკუნეში, ხოლო №24 მე-14 საუკუნისაა; ორივე ნუსხაში მოცემულია „დოგმატიკონის“ ძველი და სწორი ქართული ტექსტი. №15 ხელნაწერს დართული აქვს მინაწერი, რომლითაც დავით აღმაშენებელი იძლევა ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა არსენი „დოგმატიკონზე“ შიომღვიმის მონასტერში. აქ ინახება მე-12 საუკუნის დიდი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ ბერძნულიდან ქართულად გელათში გადმოთარგმნილი ოისიპოს ფლავიოსის ყველაზე ძველი ნუსხა სახელწოდებით „წიგნი ჰურისა“, რომელიც მე-16 საუკუნეშია გადაწერილი, აგრეთვე იოანე პეტრიწმა შექმნა თხზულება „ნემესიოს ემესელისა“, თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“. XIV ს-ში გელათში შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა“ და საისტორიო წყარო „გელათური ქორონიკონი“.

ხელნაწერთა ფონდში ინახება საქართველოს ლიტურგიკული პრაქტიკის მიერ სპეციალურად შემუშავებული საღვთისმეტყველო წიგნების კრებული – „გულანი“. სულ დაცულია 4 ნუსხა (№№16, 38, 440, 596), მათ შორის №№16, 596 ხელნაწერები გადაწერილია გელათში; პირველი – მე-17 საუკუნეში ქუთაისის მთავარეპისკოპოსის სვიმონ ჩხეტიძის შეკვეთით, ხოლო მეორე – მე-16 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის შეკვეთით (მოცულობით №16 ნუსხა 2406 გვერდს შეიცავს). დამწერლობით ქუთაისის მუზეუმის „გულანის“ ხელნაწერები უაღრესად საყურადღებო ძეგლებია.

ჩამოთვლილი ძეგლების უმრავლესობა გელათური ხელნაწერი წიგნებია და მათი გაცნობით ცხადი ხდება ის კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობა, რომელიც გაჩაღებული იყო გელათის აკადემიაში XII-XIV საუკუნეებში. გასაგები ხდება, თუ რატომ უწოდებდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს „მეორე იერუსალემს“ და „სხვა ათინს“. ეს ძეგლები საპატიო ადგილს იკავებენ მსოფლიოს ლიტერატურულ ძეგლებს შორის.

გელათში მოღვაწე იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის (ვაჩეს-ძე) პიროვნული დავის შედეგად ერთი კარგი და დიდი საქმე გაკეთდა. არსენი გადავიდა აღმოსავლეთში, კახეთში, თავის მომხრეებთან ერთად, სადაც დააარსა იყალთოს აკადემია XII საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს. აქედან გამომდინარე, იყალთოს აკადემია გელათის აკადემიის პირმშოა.

**ლია გაბუნია**

*ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ახალი და უახლესი განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი*

პროფესიული განათლება

# კანონმდებლობას აცდენილი „არგუმენტების“ პასუხად

მკითხველს შევახსენებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10 სექტემბრის ბრძანებით ერთბაშად ლიკვიდირებულია 14 პროფესიული კოლეჯი. ლიკვიდირებული პროფესიული კოლეჯების პედაგოგებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ თხოვნით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს ლიკვიდაციის პროცესის შეჩერების თაობაზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ წერილები რეაგირებისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაუგზავნა.

2010 წლის 20 ოქტომბერს ყველა ადრესატმა, მათ შორის მეც, მივიღეთ განათლების სამინისტროს პასუხი, ქალბატონ ლალი ებანოიძის ხელმოწერით. ვიდრე კონკრეტულად შევეხებოდე პასუხის ცალკეულ მუხლს, ზოგადად ვიტყვი, რომ სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა პროფესიული განათლების წინაშე არსებული ამოცანების სრული უცოდინარობა და არაკომპეტენტურობა პროფესიული კოლეჯების ფუნქციებსა და ამოცანებზე საუბრისას. პასუხებში მოყვანილი ყველა ფაქტი და მოვლენა, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია შევაფასო, როგორც ტყუილი და მცდელობა შეცდომაში შეიყვანონ პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საზოგადოება, განთავისუფლებული პედაგოგები და ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერაც არ დაუკარგავთ იმედი პროფესიული კოლეჯების ფუნქციების აღდგენასა და სწავლის გაგრძელებაზე. კერძოდ, პასუხში საუბარია ოპტიმიზაციაზე, სინამდვილეში კი:

● პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის ოპტიმიზაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჯაროდ ჩაატარა 2006-2007 წლებში. მაშინდელი მინისტრის ბრძანებით შექმნილი იყო ოპტიმიზაციის კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზე, 75 პროფესიული სასწავლებლის და ლიცეუმის რაოდენობა შემცირდა 38-მდე;

● 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, 2009 წლის 18 სექტემბერს №678 მთავრობის განკარგულებით შეიქმნა „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრემიერ-მინისტრი, ბატონი ნიკა გილაური. პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიული განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისთვის“. არც ერთ ხსენებულ დოკუმენტში სიტყვაც არ არის ნახსენები პროფესიული სასწავლებლების კიდევ ერთხელ ოპტიმიზაციის საჭიროებაზე. ამაზე არც ექსპერტები და არც დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები არ საუბრობენ;

● 2009-2010 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა პროფესიული განათლების სისტემის, პროფესიული სწავლების ცენტრების ეფექტიანობის კვლევა. კვლევის ჩატარების შემთხვევაში, სამინისტროს უნდა გამოეცა შესაბამისი ბრძანება, დამტკიცებული კვლევის ჩატარების კრიტერიუმები, შექმნილიყო მუშა ჯგუფები, რომლებიც ადგილებზე მოინახულებდნენ 38-ვე პროფესიულ სასწავლებელს, მანამდე კი ეს საკითხი უნდა განხილულიყო ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომაზე და მას უნდა მიეღო სათანადო გადაწყვეტილება. სწორედ ეს იყო საბჭოს შექმნის და მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი და ფუნქცია. პასუხში კი წერია, რომ ლიკვიდირებულ იქნა არარენტაბელური და მცირეკონტინგენტიანი პროფესიული სწავლების ცენტრები. სამწუხაროა, რომ განათლების სამინისტრომ არ იცის, რომ განათლების სფეროში არსებული სასწავლო დაწესებულებების ვერც ერთი სახეობა – უმაღლესი, საშუალო, პროფესიული ვერანაირად ვერ შეფასდება რენტაბელობის მიხედვით, ხოლო ამა თუ იმ პროფესიული სწავლების ცენტრის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მისაღები კონტინგენტის დაფინანსების შესაძლებლობის საფუძველზე და ეს რაოდენობა, პროფესიულ განათლებაში ჩადებული ასიგნებათა შესაბამისად, ბევრად ნაკლებია, ვიდრე სასწავლებლების სასწავლო ბაზების შესაძლებლობები და ახალგაზრდების რეალური სურვილი, დაეუფლონ ამა თუ იმ პროფესიას. ტერმინი „მცირეკონტინგენტიანი სასწავლებელი“ არის მოგონილი და მცდარი, არ არსებობს ნორმატივი, რომლითაც განსაზღვრული და დადგენილია, რამდენი სტუდენტი უნდა სწავლობდეს ამა თუ იმ კოლეჯში;

**განათლების სამინისტრომ არ იცის, რომ განათლების სფეროში არსებული სასწავლო დაწესებულებების ვერც ერთი სახეობა – უმაღლესი, საშუალო, პროფესიული ვერანაირად ვერ შეფასდება რენტაბელობის მიხედვით.**

● პასუხის ავტორი მაშინაც სტყუის, როცა ამბობს, რომ №86/6 ბრძანება გამოიცა 2010 წლის 11 სექტემბერს, სინამდვილეში მინისტრმა ბრძანებაზე ხელი მოაწერა 2010 წლის 10 სექტემბერს;

● პროფესიულ განათლებაში გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს არა მტკივნეულ გადაწყვეტილებაზე, არამედ ქვეყნის, რეგიონების და ახალგაზრდობის ინტერესებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, უნდა იყოს სამართლიანი, კომპეტენტური და ეყრდნობოდეს სერიოზულ კვლევებს;

● დღეისათვის მოქმედი 20 პროფესიული კოლეჯი ძირითადად დაკომპლექტებულია, ადგილობრივი მცხოვრებლებით, რომლებიც სასწავლებლად დადიან საკუთარი სახლებიდან. სამინისტროს ძირითადი მიზანი უნდა იყოს არსებული პროფესიული კოლეჯების სასწავლო-საწარმოო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცება-განვითარებაზე ზრუნვა. მაშინ როდესაც რომელიმე კოლეჯის სასწავლო-საწარმოო ბაზა იმავე ქალაქსა თუ რაიონში მცხოვრები 250 სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს ყოველწლიურად, რატომ უნდა იყოს სამინისტროს პრიორიტეტი 300-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის მოწყობა მხოლოდ იმისთვის, რომ რეგიონში ის ერთადერთია და იმავე რეგიონის 6-7 რაიონიდან ელოდება ახალგაზრდებს, რომლებიც საერთო საცხოვრებელში იცხოვრებენ.

ამავე დროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ავიწყდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ასეთ კატეგორიას ვერც სტიპენდიით, ვერც კვებით. პროფესიულ კოლეჯებში არ არის და ვერც მოეწყობა კვების ბლოკები, ამგვარი მცდარი ქმედებების მაგივრად, საქართველოს მთავრობას და სამინისტროს უნდა გაეთვალა დასახარჯი ბიუჯეტის ასიგნებათა რენტაბელურობა და ქვეყნის 14 რაიონში დაეტოვებინა იქ არსებული პროფესიული სასწავლებლები;

**ტერმინი „მცირეკონტინგენტიანი სასწავლებელი“ არის მოგონილი და მცდარი, არ არსებობს ნორმატივი, რომლითაც განსაზღვრული და დადგენილია, რამდენი სტუდენტი უნდა სწავლობდეს ამა თუ იმ კოლეჯში**

● მაშინ როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 2010 წლის 20 ოქტომბრის მთავრობის სხდომაზე საჯაროდ აცხადებს, რომ 2011 წლის ბოლომდე ქვეყანაში დასრულდება ყველა პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვატყობინებს, რომ მხოლოდ 2015 წლამდე დასრულდება მათი, როგორც თანამედროვე სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება;

● 2010 წლის ბიუჯეტის კანონში და 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში სხვადასხვანაირადაა დაფინანსებული პროფესიული კოლეჯები, რითაც დისკრიმინირებული არიან მასწავლებლები, რომელთა საათობრივი ანაზღაურება 3-დან 8-10-ლარამდე მერყეობს, ინსტრუქტორების (დღეისათვის პედაგოგების) ხელფასები – 150-დან 500 ლარამდე, დირექტორების – 500 ლარიდან 1300 ლარამდე და ა.შ.;

● რატომ უკრძალავს განათლების მინისტრი კოლეჯების დირექტორებს სასწავლებლებში იყოლიონ ბიბლიოთეკარი, არქივარიუსი, ფინანსური და კარიერის მენეჯერები და სხვ., მაშინ როდესაც პროფესიული კოლეჯები, კანონის მიხედვით, არიან ავტონომიურები და „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად პროფესიული კოლეჯის დირექტორი „დამოუკიდებლად შეიმუშავებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლებლის საშტატო განრიგს“;

● რატომ ხდება, რომ პრეზიდენტის პროგრამით „პროფესიული სწავლების ცენტრების რეაბილიტაცია“, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, წლის დასაწყისიდან დამტკიცებული 2.5 მლნ ლარი, 2010 წლის ივნისში კანონში შეტანილი ცვლილებებით შემცირდა 1.070 000 ლარამდე, რის გამოც 2009 წლის პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგიის შესაბამისად“, 2010 წელს, ვერ განხორციელდა მინიმუმ 3 პროფესიული სასწავლებლის სასწავლო კორპუსების და სახელოსნოების რემონტი, მინიმუმ 3 პროფესიული კოლეჯის სახელოსნოების რეკონსტრუქცია და მათი დანადგარებით აღჭურვა, მინიმუმ 3 პროფესიული კოლეჯის სასწავლო კორპუსის სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

არასოდეს გაგვჩენია სურვილი შეგვესრულებინა რომელიმე მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქცია, მაგრამ პროფესიული განათლების სისტემაში შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის, რეგიონებისა და ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი სამინისტროს, ჩვენი, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი და სხვა დეპუტატების მონაწილეობით, რომელიც ადგილზე შეისწავლის თითოეული კოლეჯის ფაქტობრივ მდგომარეობას (იმავეს სთხოვდნენ განათლების მინისტრს კოლეჯების ლიკვიდაციამდე პარლამენტის ვიცე-სპიკერები – ფრიდონ თოდუა და მიხეილ მაჭავარიანი) და მიიღებს გონივრულ გადაწყვეტილებას.

ამავე შინაარსის წერილი, უფრო ვრცელი და დეტალური ანალიზით, კიდევ ერთხელ გავუგზავნე საქართველოს პრეზიდენტს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ამჯერად მაინც პრეზიდენტის ადმინისტრაცია თავად დაინტერესდება შექმნილი ვითარებით და დარგის სწორი მიმართულებით განვითარებისთვის სერიოზულ ზომებს მიმართავს.

***დენის დავითაშვილი***
*ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრი,*
*პროფესიული განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე*

## ინფორმაცია

* * *

ახლად დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო პროცესში იმპლემენტირება 2011 წლის 15 სექტემბერს დაიწყება. საწყის ეტაპზე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა პირველ საფეხურზე (პირველი-მეექვსე კლასი) დაინერგება, ხოლო 2012 წლიდან ცვლილებები მეორე და მესამე საფეხურს შეეხება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში დანერგვის შესაბამისად, ავტომატურად, ყველა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს გაუუქმდება გრიფი, სახელმძღვანელოებს გრიფი ახალი გრიფირების წესების მიხედვით მიენიჭებათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი გრიფირების მიხედვით, დღეს, გამოაცხადა კონკურსი პირველი-მეექვსე კლასის სახელმძღვანელოებისთვის, რომელიც მარტამდე გაგრძელდება. ხოლო 2011 წლის ნოემბერში კონკურსი გამოცხადდება მეშვიდე-მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოებზე.

გრიფირების ახალი წესის მიხედვით, სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

● გრიფი მიენიჭება მხოლოდ იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს;

● გრიფის მოპოვების უფლება აქვს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს;

● გრიფი მიენიჭება იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ სახემძღვანელოებს, რომლებიც სრულად დაფარავენ პირველი საფეხურის საგნობრივ კურსს;

● ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივ სტანდარტებში შემოდის სავალდებულო შინაარსი: ჰუმანიტარულ საგნებში – 60%, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნებში – 80%;

● გრიფის მინიჭების შემთხვევაში, სახელმწიფო ავტომატურად ხდება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თანამესაკუთრე;

● გრიფირებული სახელმძღვანელოს დაბეჭდვა შეუძლია ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც გადაუხდის საავტორო უფლების მქონე პირს დადგენილი მოგების 25% -ს;

● სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იტოვებს უფლებას, საავტორო უფლების მქონე პირთან შეთანხმების შემთხვევაში, მთლიანად შეისყიდოს საავტორო უფლება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გამართული, კონკურსების გამარჯვებულები დააჯილდოვა.

აკაკის კვირეულის (25-29 ოქტომბერი) ფარგლებში, არაერთი ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის თხზულებების კონკურსი დევიზით – „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“, რომელშიც VIII-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსი 3 ეტაპად განხორციელდა: სასკოლო, რეგიონული და დასკვნითი ტურები. პირველი ადგილი თიანეთის რაიონის ახალსოფლის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ **სალომე ჯიმშიტაშვილმა** დაიმსახურა, რომელიც 700 ლარით დაჯილდოვდა, მეორე ადგილზე თბილისის 67-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ნიკოლოზ სამადაშვილი** გავიდა და პრიზის სახით 500 ლარი მიიღო, ხოლო მესამე ადგილზე გასულ საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის X კლასის მოსწავლე **მარიამ დეკანოიძეს** 300 ლარი გადაეცა.

კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ვებკონკურსი „როგორ ვიცნობთ აკაკის შემოქმედებას“. სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული დახურული ტიპის ტესტი, აკაკის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის შესახებ, პირველმა სამტრედიის რაიონის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ **რუსუდან შენგელიამ** შეავსო. მინისტრმა მას პორტატული კომპიუტერი გადასცა.

ღონისძიების ფარგლებში გამართულ პრეზენტაციაზე წარმოდგენილ იქნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანიზებითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით დაბეჭდილი, 1893 წელს გამოცემული აკაკი წერეთლის „სალამურის“ ზუსტი ასლი.

# მოსწავლის რვეულით გამოვლენილი „წლის საუკეთესო მასწავლებელი“



„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ 2008 წელს, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებისთვის, რომლებიც 2008-2010 სასწავლო წლის განმავლობაში გამოიყენებდნენ გამომცემლობის სახელმძღვანელოებს, გამოაცხადა კონკურსი – „წლის საუკეთესო მასწავლებელი“. მასწავლებლებს გამომცემლობაში უნდა გამოეგზავნათ მოსწავლეთა სამუშაო რვეულები, რომლებშიც ყველაზე ნათლად ჩანს მათ მიერ წლის განმავლობაში გაწეული შრომა. ორი წლის განმავლობაში 100-ზე მეტი რვეული შემოვიდა, გამარჯვეუბულებიც სწორედ მის მიხედვით გამოვლინდა.

„წლის საუკეთესო მასწავლებელის“ გამოსავლენად საზეიმო ცერემონიალი და დაჯილდოვება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. მოწვეული იყვნენ პირველ ტურში გამოვლენილი პედაგოგები, თუმცა, როგორც გამომცემლობის დირექტორმა თინა მამულაშვილმა გვითხრა, საუკეთესო ნამუშევრების შერჩევა რთული აღმოჩნდა, რადგანაც საკონკურსოდ ბევრი საინტერესო ნამუშევარი შემოვიდა.

**ლიკა გელაზონია**, მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტი: *„გამომცემლობამ წელს, პირველად ჩაატარა კონკურსი იმ პედაგოგებისთვის, რომლებმაც 2008-2010 სასწავლო წლებში ჩვენი სახელმძღვანელოებით ისარგებლეს. კონკურსში ჩართულნი იყვნენ პედაგოგები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ძალიან ბევრი ნამუშევარი მივიღეთ, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი სახელმძღვანელოებით მასწავლებლები კმაყოფილები არიან, შედეგები კი მათ მიერ გამოგზავნილ რვეულებში აისახა. პედაგოგები გვიგზავნიდნენ რვეულებს, სადაც მასწავლებლის და მოსწავლის ერთობლივი ნამუშევარია ასახული, ანუ რვეულებს, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს მათი შრომის შედეგები. შესაძლოა წიგნს რვეული არ ახლდეს, მაგრამ გვიგზავნიდნენ უბრალოდ რვეულებს, სადაც მუშაობდნენ მოსწავლეები, შესაძლოა იქვე იყოს მასწავლებლების მიერ გაკეთებული კომენტარები, ან თუნდაც სტიკერებით ჩაკრული შენიშვნები თუ მითითებები, თუ რომელი წყაროები უნდა გამოიყენონ მოსწავლეებმა და ა.შ. საერთოდ კონკურსი დაგეგმილი იყო ორ ტურად. პირველ ტურში უნდა გამოგვევლინა ყველა საგანში თითო პედაგოგი, შემდეგ კი სამი ძირითადი პრემიის მფლობელი, მაგრამ რადგან ბევრი რვეული შემოვიდა და მათ შორის ბევრი მართლაც კარგი ნამუშევარი იყო, 23 საუკეთესო პედაგოგი შევარჩიეთ ტურებამდე, რომლებსაც საჩუქრად გადავეცით ჩვენი გამომცემლობის მიერ დასტამბული ალბომი – „თბილისი“, ხოლო თითოეულ სკოლას 20-პროცენტიანი ფასდაკლების ბარათი, რომლითაც 2011 წლიდან შეუძლიათ ისარგებლონ. გარდა ამისა, მათგან 7 საგანში თითო საუკეთესო პედაგოგი გამოვავლინეთ და გადავეცით 100-ლარიანი ვაუჩერი ჩვენი გამომცემლობის ნებისმიერი წიგნის შესაძენად, 7-დან კი სამი საუკეთესო პედაგოგი შეირჩა. პროექტი მომავალშიც გაგრძელდება. წლის ბოლოს უკვე შეუძლიათ მასწავლებლებს მოგვაწოდონ რვეულები.“*

კონკურსისთვის – „წლის საუკეთესო მასწავლებელი“ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ სოლიდური პრიზები დააწესა – ფულადი ჯილდოები, წიგნები, ფასდაკლების ბარათები და ფასიანი საჩუქრები. კონკურსში გამოვლენილ 23-ვე ნომინანტს საჩუქრად გადაეცა ალბომი „თბილისი“, ხოლო მის სკოლას 20%-იანი ფასდაკლების ბარათი სახელმძღვანელოების ერთიანი შეკვეთის შემთხვევაში. პირველ ტურში შვიდი საუკეთესო მასწავლებელი დასახელდა – **სოფო მირცხულავა** (ინგლისური); **ნუნუ სარჯველაძე** (ბუნება); **მირანდა ნანეიშვილი** (გერმანული); **მანანა სონღულაშვილი** (ქართული); **ნინო კეკელიძე** (მათემატიკა); **ია ოთარაშვილი** (გეოგრაფია); **თინა ქშუტაშვილი** (ისტორია). შვიდივე პედაგოგს საჩუქრად 100-ლარიანი ვაუჩერი გადეცათ. მათგან სამი კი წლის საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა: პირველი ადგილი და 1500 ლარი ფულადი ჯილდო წილად ხვდა სამტრედიის რაიონის კორმაღლის საჯარო სკოლის X კლასის ბუნების პედაგოგს **ნუნუ სარჯველაძეს**; მეორე ადგილი (1000 ლარი) – სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის საჯარო სკოლის X კლასის ისტორიის პედაგოგს **თინა ქშუტაშვილს**; მესამე ადგილი – თელავის რაიონის კონდოლის საჯარო სკოლის IV კლასის ქართულის ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **მანანა სონღულაშვილს**. მართალია, ჯილდოსთვის არ შრომობს მასწავლებელი, როგორც ეს „წლის საუკეთესო მასწავლებელმა“ – ნუნუ სარჯველაძემ განაცხადა, მაგრამ პედაგოგისთვის ყველა წარმატება, ბუნებრივია, მეტი მოტივაციაა შემდგომი წარმატებებისთვის, წარმატება და ჯილდო კი ისევ და ისევ მათ მოსწავლეებს ეკუთვნით.




**ბაკურ სულაკაური**, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის“ გენერალური დირექტორი: *„კონკურსი ძალიან საინტერესო იყო, იმ თვალსაზრისითაც, რომ კარგად გამოჩნდა, როგორ მუშაობენ მასწავლებლები საქართველოს სხვადასხვა რაიონის კერძო თუ საჯარო სკოლებში და რა შედეგები აქვს მათ შრომას. ჩვენ კი ამ კონკურსზე მათი შრომა წავახალისეთ“.*

კონკურსი გრძელდება. მასწავლებლებს ისევ შეუძლიათ საუკეთესო მოსწავლის რვეულები „2011 წლის საუკეთესო მასწავლებლის“ ტიტულის მოსაპოვებლად გამოაგზავნონ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“.

*ლალი ჯელაძე*

## ინფორმაცია

* * *

პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში, საქართველოში უცხოელ პედაგოგთა მე-7 ნაკადი ჩამოვიდა. ისინი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გადანაწილდებიან და ადგილობრივ მოსწავლეებს ინგლისური ენის უკეთ შესწავლაში დაეხმარებიან.



პროგრამის ფარგლებში ინგლისურენოვანი მასწავლებლები უკვე ასწავლიან აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რუსთავისა და თბილისის საჯარო სკოლებში.

ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010 წლის ივლისიდან, ახორციელებს პროექტს „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, რომელიც წლის ბოლომდე საქართველოში 1000 ინგლისურენოვანი მასწავლებლის ჩამოყვანას ითვალისწინებს. მომდევნო წლებში მოხალისე მასწავლებლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

მათ უკვე შეძლეს საზოგადოებაში ინტეგრირება – ადგილობრივ მოხალისე ოჯახებში უფასოდ ცხოვრობენ. პროექტის დასრულების შემდეგ კი, ინგლისურენოვანი მასწავლებლები, მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოს კეთილი ნების ელჩები გახდებიან.

* * *

2010-2011 სასწავლო წელს საატესტატო გამოცდების შემოღებასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-12 კლასისთვის განკუთვნილ საათობრივ ბადეში ე.წ. „აბიტურის საათები“ გამოიყო. აბიტურის საათი ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული და განვლილი მასალის გამეორებას ეთმობა. ბიოლოგიაში აბიტურის საათის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში გაეცნო და მოსწავლეებს იმ ახალ, CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელზე ესაუბრა, რომლითაც საატესტატო გამოცდები მომავალ წელს პირველად ჩატარდება. აბიტურის საათები ყველა იმ საგნისთვის არის გათვალისწინებული, რომელშიც ჩატარდება საატესტატო გამოცდა. ეს საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის – ქართული, როგორც მეორე ენა); მათემატიკა; უცხოური ენა; საქართველოს და მსოფლიო ისტორია; გეოგრაფია; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია.აბიტურის საათები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მასალა, რომელზე დაფუძნებული ტესტური დავალებითაც მოუწევთ გამოცდების ჩაბარება, კიდევ ერთხელ გაიმეორონ და უკეთესად მოემზადონ საატესტატო გამოცდებისთვის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აბიტურის საათების შემოღება იმ საგნებში, რომლის სწავლებაც მე-12 კლასის სასწავლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. ეს საგნებია: გეოგრაფია, ბიოლოგია და ფიზიკა. მნიშვნელოვანია, რომ აბიტურის საათებში მოსწავლე არ იღებს ნიშნებს. ეს გაკვეთილები მას განვლილი საკითხების გამეორებაში ეხმარება.

პირველად საქართველოში საატესტატო გამოცდები ჩატარდება კომპიუტერის მეშვეობით, ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით. თითოეულ საგანში გამოცდა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება. თითოეული საგამოცდო საგნისათვის იქმნება საგამოცდო საკითხების ბაზა, მასში შემავალი



საკთხები სირთულის დონის მიხედვით იყოფა რამდენიმე (7-10) კატეგორიად. დასაწყისში აპლიკანტს ეძლევა საშუალო სირთულის საკითხები, გაცემული პასუხებით პროგრამა აფასებს ცოდნის დონეს და იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კატეგორიიდან მიეცეს აპლიკანტს შემდეგი საკითხები. საგამოცდო პროცესის დამთავრებისთანავე ცნობილი ხდება, გადალახა თუ არა აპლიკანტმა კონკრეტული საგნისათვის დადგენილი კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, რომელიც შესაძლებლობების სკალის კონკრეტული ნიშნულით გამოისახება და არა ნიშნით. კომპიუტერული პროგრამის შეფასება არ აისახება მოსწავლის წლიური ნიშანზე, ის უცვლელი დარჩება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ევროპული ქვეყნების კერძო სკოლათა ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა. დელეგაცია ლატვიის კერძო სკოლათა კავშირის წევრებით იყო წარმოდგენილი. ვიზიტის მიზანი მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის გაცნობა, გამოცდილებათა გაზიარება და საქართველოს კერძო სკოლათა ასოციაციის ევროპული ქვეყნების კერძო სკოლათა ასოციაციაში გაწევრიანების საკითხის განხილვა იყო.

უცხოელ სტუმართა დიდი დაინტერესება გამოიწვია იმ სიახლეებმა, რაც ბოლო პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში, ლატვიის დელეგაციის წევრებმა მოინახულეს რამდენიმე საჯარო და კერძო სკოლა და სამუშაო შეხვედრები გამართეს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ცენტრების წარმომადგენლებთან.

ლატვიელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სკოლების ბრენდირების თემამ, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალმა სქემამ და სხვ. სტუმრებმა ასევე ისაუბრეს იმ გამოცდილებებზე, რაც ევროპის წამყვან ქვეყანათა საგანმანათლებლო სივრცეშია აპრობირებული.

ვიზიტის შემდეგ, ლატვიის კერძო სკოლათა ასოციაცია რეკომენდაციას გაუწევს საქართველოს კერძო სკოლათა ასოციაციას, რათა იგი უახლოეს მომავალში გახდეს ევროპული ქვეყნების კერძო სკოლათა ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი. ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა და მას საქართველოს კერძო სკოლათა ასოციაცია და მისი ხელმძღვანელი, სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი **დავით კახნიაშვილი** თაოსნობს.

საუბრები ბიბლიაზე

# ეს არის ამბავი ნოესი



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

სამოთხიდან განდევნის და აბელის სიკვდილის შემდეგ ადამს კიდევ შეეძინა ერთი ვაჟი, შეთი და თქვა ევამ: „აღმიდგინა მე ღმერთმა შთამომავლობა, კაენის მიერ მოკლული აბელის ნაცვლად“ (დაბ. 4:25). შეთს უფლის სახელის მადიდებელი შთამომავლობისათვის უნდა ჩაეყარა საფუძველი. გამრავლდა დედამიწაზე ადამის მოდგმა. მიწის პირს კაენისა და შეთის შთამომავლები მოედვნენ, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ღმერთი საერთოდ დაივიწყეს. ადამისა და ევას მიერ პირველჩადენილი ცოდვა მათ სულ უფრო მეტად აბრუებდათ. გაირყვნა და აივსო ქვეყანა უსამართლობით, ცოდვით დაეცა კაცობრიობა, მასთან ერთად დაეცა ცხოველთა სამყაროც, რომელიც ადამიანის საპატრონოდ იყო შექმნილი. არავინ დაჩა მართალი და მორწმუნე. „და იხილა უფალმა, რომ გამრავლდა ბოროტება ადამიანისა მიწაზე, და მისი გულის ყოველი წადილი მუდამ მხოლოდ ბოროტება იყო. და ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი მიწაზე“ (დაბ. 6:5,6).

უზენაესი კანონების მიხედვით, ამქვეყნიური არსებობა ჩვენი სულების სრულყოფის საშუალებაა. ღმერთმა ჩვენს გარშემო ხილული სამყარო იმისთვის შექმნა, რათა ჩვენი სულებისათვის, სრულყოფილების მიღწევისა და ჭეშმარიტებასთან შეერთების საშუალება მიეცა. როდესაც დაეცა და გაიხრწნა ქვეყანა, სამყაროს არსებობამ აზრი დაკარგა. გაჩნდა მისი განადგურების კანონზომიერება, რადგანაც როგორი ზნეცა აქვს მიწის მკვიდრ ხორციელ სულდგმულს, ისეთივე სახეს ღებულობს მიწაც. თავისი ზრახვებით, სიტყვებითა და საქმით ადამიანს შეუძლია ღვთის მადლი მოუტანოს დედამიწას ან უბედურება და კატასტროფები გამოიწვიოს მასზე. „მიწა დაიწყევლოს შენს გამო“ (დაბ.3:17) – ასე მიმართავს ღმერთი ადამს მისი ცოდვით დაცემის შემდეგ.

ერთადერთი კაცი ამ მიწაზე, ღმერთის ხატისა და სახელის მატარებელი და მადიდებელი, ნოეღა იყო. ნოე შეთის შთამომავალია. ის და მისი ოჯახი გამორჩეული, მორწმუნე, მართალი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. სწორედ ის შეარჩია ღმერთმა და უბრძანა ექადაგა ხალხისათვის, რათა მოექცია ისინი. წმინდა გადმოცემის თანახმად, ნოემ ასოცი წელიწადი იქადაგა, მაგრამ უშედეგოდ. კაცობრიობამ გადარჩენის შანსი ხელიდან გაუშვა. მაშინ ღმერთმა განიზრახა დედამიწა სიბილწისაგან განეწმინდა – წარღვნით მოესპო შეუნანებელი კაცობრიობა. თუმცა ღმერთი ყოველთვის გვიტოვებს გამოსავალს. ხსნის იმედი შეიძლება ერთ ადამიანზე იყოს დამყარებული. ის ერთადერთი ინახავს ღვთის ხატს თავის თავში, ამიტომაც ღირს მისი სახით კაცობრიობის თესლის გადარჩენა. „მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში. ეს არის ამბავი ნოესი: მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში; ღმერთთან დადიოდა ნოე“ (დაბ.6:8,9). ღმერთმა აუწყა ნოეს: „...მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით; და, აჰა, უნდა გავწყვიტო ისინი მთელი ქვეყნითურთ“ (დაბ.6:13). „შენ კი აღთქმას დაგიდებ...“ (დაბ.6:18) – უთხრა ღმერთმა ნოეს და ადამიანთან რიგით მეორე აღქმა დადო. ნოე მეორე ადამად მოგვევლინა, ის განაახლებს დედამიწას, ღვთის ნებით მისგან დაიწყება ადამიანის ახალი, მართებული და მორწმუნე მოდგმა. ნოეს შთამომავლებში ნამდვილად გამოჩნდებიან განსაკუთრებული მისიის მქონენი.

უბრძანა ღმერთმა ნოეს აეშენებინა კიდობანი – დიდი ხომალდი, რომლის სათავსოები ნოეს ოჯახისა და დედამიწის სულდგმულთათვის საცხოვრებლად გამოსადეგი იქნებოდა: „გაიკეთე კიდობანი ურთხელისგან. ბუდეები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ ფისით შეფისე. ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წყრთა იყოს კიდობანი, სიგანით – ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით – ოცდაათი წყრთა; სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს; ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე“ (დაბ. 6: 14-16). ნოემ რწმენით მიიღო ღმერთის დავალება და შეუდგა კიდობნის მშენებლობას. ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა. როდესაც კიდობანი განმზადდა ნოემ კვლავ მოისმინა ღვთის სიტყვა: „აჰა, მოვავლენ წარღვნას ქვეყანაზე, რათა გაწყდეს ცისქვეშეთში ყოველი ხორციელი, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას; ყოველი მიწიერი უნდა განადგურდეს... შეხვალთ კიდობანში შენ და შენი შვილები, შენი ცოლი და შენს ძეთა ცოლები“ (დაბ. 6: 17,18). ნოე თავის ოჯახთან: მეუღლესთან, სამ შვილთან და მათ მეუღლეებთან ერთად შევიდა კიდობანში. ღვთის სიტყვის მიხედვით შეიყვანა კიდობანში ყველა სახის ცხოველი და ფრინველი და მათი სამყოფი საკვები, იმისათვის, რათა ყველა სახეობის სულდგმული შენარჩუნებული ყოფილიყო. სულდგმულთაგან წმინდა (ვინც შეიძლება მსხვერპლად შეიწიროს) – შვიდი წყვილი, ანუ შვიდი დედალი და შვიდი მამალი იყო, ხოლო უწმინდური (ვინც მსხვერპლად ვერ შეიწირება) ერთი წყვილი. საინტერესოა, რომ წარღვნამდეც არსებობდა ცხოველების ერთგვარი გრადაცია წმინდა და უწმინდურ სახეობებად. წარღვნის შემდეგ სწორედ ეს დაყოფა გახდება საფუძველი მათი საკვებად გამოყენების ვარგისიანობისა.

გადმოცემის მიხედვით, ქვევითა სათავსო ქვეწარმავლების საცხოვრებელი იყო, მათ ზევით სახლობდა ნოე ოჯახით, ხოლო მესამე, ზემოთა ნაწილში ფრინველები.

ღვთის მიერ დანიშნულ დღეს ნოე თავისი სახლობით შევიდა კიდობანში და შეიყვანა ცხოველები. დაწერილია: უფალმა ამოგმანა კიდობნის კარები და დაიწყო ძლიერი წვიმა. „მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმელები“ (დაბ. 7:11). წვიმდა 40 დღე და ღამე. სტიქია მძვინვარებდა, წყალი ყოველი მხრიდან უტევდა ხმელეთს. ზღვები, ტბები და მდინარეები გადმოვიდნენ ნაპირებიდან. „ადიდდა წყალი და ასწია კიდობანი, მოექცა იგი მიწის ზემოთ“ (დაბ.7:17). ნიშანდობლივია, რომ დედამიწა, რომელზეც უწმინდურობა და ბოროტება იყო გამრავლებული მთლიანად დაიფარა წყლით. მხოლოდ კიდობანი მოექცა მიწის ზემოთ. სწორედ ამიტომაც, მოგვიანებით კიდობანი ეკლესიის სიმბოლოდ იქნა მიჩნეული. ისევე როგორც წარღვნისას კიდობანი, მეორედ მოსვლის წინ ხსნის ერთადერთი საშუალება ეკლესია გახდება. ამ თვალსაზრისით ნოეს განიხილავენ, როგორც მესიის მომასწავებელს, სოფლის მხსნელს, ერთგულ მსახურსა და გზააბნეულთა გადამრჩენელს.

სტიქია განაგრძობდა ბობოქრობას. 150 დღე მატულობდა წყალი და დაფარა მთელი დედამიწა. კიდობანში მყოფთა გარდა მიწის ზედაპირზე მობინადრე ყოველი სულდგმული დაიღუპა. „მეტისმეტად მომძლავრდა წყალი ქვეყანაზე და დაიფარა მაღალი მთები, რაც კი იყო მთელ ცისქვეშეთში“ (დაბ.7:19). „მოისპო ყოველი ხორციელი, რაც კი იძვროდა ამქვეყნად, ფრინველი, პირუტყვი, მხეცი და ყოველი ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, და ყოველი ადამიანი“ (დაბ.7:21). ადამიანი, რომელიც შემქმნელის მიერ სამყაროს გვირგვინად იყო მიჩნეული, ამ ჩამონათვალში ყველაზე უწმინდური ცხოველების შემდეგაა ნახსენები. იგი ზნეობრივად და სულიერად ქვეწარმავალთა და მიწაზე მძრომელთა დაბლა დაეცა. წარღვნის მიზეზიც ხომ სწორედ ეს გახდა.

150 დღის შემდეგ, ღვთის ბრძანებით, ამოვარდა ძლიერი ქარი, ღრუბლები გაფანტა და წყალმაც კლება იწყო. გამოჩნდნენ მაღალი მთების მწვერვალები. კიდობანი გაჩერდა არარატის მთასთან. ამის შემდეგ, მეორმოცე დღეს ნოემ გააღო კიდობნის ფანჯარა და გამოუშვა ყორანი. „მიფრინავდა იგი და უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი დედამიწაზე“ (დაბ.8:7). შვიდი დღის შემდეგ ნოემ გამოუშვა მტრედი. მტრედმაც ვერ ჰპოვა საცხოვრებელი ადგილი და მობრუნდა კიდობანში. შვიდი დღის შემდეგ ნოემ კვლავ გამოუშვა მტრედი. საღამოხანს მობრუნებულ მტრედს ნისკარტით ზეთისხილის რტო ეჭირა. ნოე მიხვდა, რომ ქვეყანა აღარ არის წყლით დაფარული და მასზე სიმწვანე ხარობს. კიდევ შვიდი დღის შემდეგ მან მესამედ გამოუშვა მტრედი. ის უკან აღარ დაბრუნებულა... „ახადა ნოემ სახურავი კიდობანს და ხედავს, აჰა, გამშრალია მიწის პირი“ (დაბ. 8: 13). დარწმუნდა ნოე, რომ გაშრა და საცხოვრებლად კვლავ ვარგისია დედამიწა. „... ასე უთხრა ღმერთმა ნოეს: გამოდით კიდობნიდან შენ და შენი ცოლი, შენი შვილები და მათი ცოლები. ყველა ცხოველი შენთან მყოფი, ყველა ხორციელი, ფრინველი, პირუტყვი, და ყველა ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, გამოიყვანე შენთან ერთად; მოეფინონ ქვეყანას, ინაყოფიერონ და გამრავლდნენ ქვეყნად“ (დაბ.8:15-17). ნოე გამოვიდა კიდობნიდან, გააკეთა სამსხვერპლო და გამოხსნისათვის ღმერთს სამადლობელი მსხვერპლად შესწირა – „აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს, თითოთითო ამოარჩია ყოველი წმიდა პირუტყვიდან და ყოველი წმიდა ფრინველიდან და აღსავლენად მიიტანა სამსხვერპლოზე“ (დაბ. 8:20). ცხოველის მსხვერპლად შეწირვა სრული მორჩილების, ცხოველური საწყისის სამსხვერპლოზე დადების სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ: იკვლება ცხოველი და ეს თავისთავად ნიშნავს ადამიანში არსებული ცხოველის მოკვდინებას, სულიერი საწყისის გამარჯვებას ხორციელზე. ამავე დროს, მსხვერპლი შეიწირება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი წრფელი გულითა და სულით ღვთის სადიდებლად ლოცულობს. მადლიერების გრძნობით პირთამდეა აღვსილი და სასოებით დგას უფლის წინაშე. სწორედ ასეთ მსხვერპლშეწირვას ასდის კეთილსურნელება, ის არის სასურველი და მისაღები უფლისათვის. „იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე. მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი. ვიდრე ქვეყანა იქნება – არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიცხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება“ (დაბ.8:21, 22). ღმერთმა მიიღო ნოეს მსხვერპლი და შვილებითურთ აკურთხა იგი: დაუმორჩილა მათ ყოველი ცხოველი, „...ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა. თქვენი შიში და ძრწოლა ჰქონდეს მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყოველ სულდგმულს, რაც კი იძვრის დედამიწაზე, და ზღვის ყველა თევზს. თქვენს ხელთ არიან ისინი“ (დაბ. 9:1, 2). ისევე, როგორც ადამს, ნოესაც მიეცა ღვთისაგან ყველა ცხოველზე ბატონობის უფლება, თუმცა ადამისგან განსხვავებით მისი და დანარჩენი სამყაროს ურთიერთობაში წარმმართველი შიში და ძრწოლა გახდა. კიდევ ერთი სიახლე. ადამისგან განსხვავებით ნოეს შთამომავლებს მიეცათ კურთხევა ეჭამათ: „ყოველი იძვრისი, რაც კი ცოცხლობს, საჭმელად გქონდეთ; როგორც მწვანე ბალახს, ისე გაძლევთ ყველაფერს. ოღონდ ხორციელს ცოცხლად, მის სისხლთან ერთად ნუ შეჭამთ“ (დაბ. 9:3, 4). როგორც ვხედავათ, ადამიანს აკრძალული აქვს ცოცხალი ცხოველის ხორცისა და სისხლიანი საკვების მირთმევა.

აქვე, ღმერთი ნოესა და მის შთამომავლობას ცხოვრების რამდენიმე წესის შესახებ ამცნობს და ერთგვარ ხელშეკრულებას სთავაზობს მათ: „და თქვენს სისხლს მოვიკითხავ ყოველი ცხოველისაგან და ადამიანის ხელისაგან, მისი ძმის ხელისაგან მოვიკითხავ ადამიანის სულს“ (დაბ. 9:5), შემდეგ კიდევ უფრო აკონკრეტებს: „და ადამიანის სისხლის დამღვრელის სისხლი ადამიანის მიერვე დაიღვრება, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამიანი“ (დაბ. 9:6), რაც გულისხმობს ყოველი მკვლელის განკითხვას ადამიანური და უფლის სასამართლოთი.

უთხრა ღმერთმა ნოეს და მის შვილებს: „აჰა, გიდებთ აღთქმას თქვენ და თქვენს შთამომავლობას, ყოველ სულდგმულს, რომელიც კი თქვენთან არის, ფრინველს, პირუტყვს, მიწის ყველა მხეცს, რომელიც კი თქვენთან არის, ყველას, კიდობნიდან გამოსულს, გიდებთ აღთქმას, რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად“ (დაბ. 9: 9-11). და გამოჩნდა ცაზე ცისარტყელა „...ნიშნად აღთქმისა ჩემსა და ქვეყანას შორის“ (დაბ. 9:13). უფლის აღთქმა ნათლად გვეუბნება, რომ აღარასდროს წალეკავს დედამიწას წარღვნა, აღარასდროს განადგურდება ადამიანის მოდგმა. ამის ნიშანი ღრუბლიან ცაზე გადაჭიმული ცისარტყელაა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღთქმა ორ მხარეს შორის იდება, შესაბამისად ადამიანმაც უნდა შეასრულოს ამ აღთქმის პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფები და უბედურებები კვლავ დაემუქრება სიცოცხლეს.

აქვეა გამეორებული ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ჭეშმარიტება: „ღვთის ხატად შეიქმნა ადამიანი“. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ რაც უნდო ცოდვილი და ზნედაცემული იყოს ადამიანი, მისი მსგავსება ღვთის ხატთან ანუ მისი სულიერი, შინაგანი თვისებების საწყისი ყოველთვის შენარჩუნებული იქნება. ეს კი ადამიანის შემოქმედთან მიახლოების საშუალებაა.





მეთოდიკა

# ბიოლოგიის გაკვეთილი. XII კლასი
## სიცოცხლის ძირითადი ნიშნები – კვება, სუნთქვა, მოძრაობა

**გაკვეთილის თემა**: *„სიცოცხლის ძირითადი ნიშნები“* შვიდი სასიცოცხლო პროცესის განხილვას ითვალისწინებს. ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა აღნიშნულ თემას 3 გაკვეთილი დაუთმოს: I – კვება, სუნთქვა, მოძრაობა; II – გამოყოფა, გაღიზიანებადობა; III – გამრავლება, ზრდა-განვითარება.

**გაკვეთილის მიზანი**: მოსწავლემ შეძლოს აღნიშნული სასიცოცხლო პროცესების მნიშვნელობის განმარტება, აღწეროს, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები მცენარეებსა და ცხოველებში.

**გამოყენებული მასალა**: თაბახის ფურცლები, წინასწარმომზადებული სქემა, პლაკატები – „მცენარეთა სუნთქვა“, „მცენარეთა კვება“, ცხრილი.

**გაკვეთილის დრო**: 45 წუთი.

**გაკვეთილის მსვლელობა**

მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ, რომელი სასიცოცხლო პროცესები ახასიათებთ ცოცხალ ორგანიზმებს. შემდეგ ვეტყვი, რომ დღეს საუბარი გვექნება კვების, სუნთქვის და მოძრაობის შესახებ. ბავშვებს შევახსენებ, რომ კვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესია, იგი უზრუნველყოფს ორგანიზმს საშენი მასალით, რომელიც აუცილებელია ზრდა-განვითარებასა და გამრავლებისათვის, ასევე, კვების ძირითადი ფუნქცია ორგანიზმის ენერგიით მომარაგებაა. (1 წთ.)

შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად. ჯგუფებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაციები ავტოტროფული და ჰეტეროტროფული ორგანიზმების შესახებ. (5 წთ.)

პრზენტაციები: (7 წთ.)

პრეზენტაციების წარდგენისას მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, რომ ავტოტროფული ორგანიზმები (მწვანე მცენარეები) ფოტოსინთეზის პროცესში არაორგანული ნივთიერებებიდან (წყალი და ნახშირორჟანგი) მზის ენერგიის დახმარებით, რომელსაც ქლოროპლასტებში არსებული ქლოროფილი შთანთქავს, გლუკოზის სინთეზს ახორციელებენ, რომელსაც მცენარე საკვებად იყენებს (მიმდინარე გაკვეთილი არ ისახავს მიზნად ფოტოსინთეზის პროცესის განხილვას, ამიტომ, მოსწავლეები ზოგადი ინფორმაციით უნდა შემოიფარგლონ).

ჰეტეროტროფული ორგანიზმები მზა ორგანულ ნივთიერებებს საჭიროებენ, ამიტომ, მათ საკვების სახით სხვა ორგანიზმები სჭირდებათ. ჰეტეროტროფულ ორგანიზმებს ცხოველთა სამეფოს წარმომადგენლები, სოკოები და ბაქტერიების უმრავლესობა მიეკუთვნება, მათ შორისაა მწერიჭამია მცენარეებიც, თუმცა, მათ ავტოტროფული კვების ტიპიც ახასიათებთ.

განასხვავებენ *ბალახისმჭამელ, მტაცებელ, პარაზიტ* და *ნაირმჭამელ* ორგანიზმებს.

*ბალახისმჭამელები* უშუალოდ მცენარეული საკვებით იკვებებიან, მათ დიდი რაოდენობით საკვების მიღება სჭირდებათ, რადგანაც მცენარე ნაკლებკალორიულია.

*მტაცებლები*, როგორც წესი, ბალახისმჭამელი ცხოველებით იკვებებიან. ხორცი ბევრად კალორიულია, თუმცა, ცხოველს ნადირობაში ბევრი ენერგია ეხარჯება.

*პარაზიტები* „მასპინძელი“ ორგანიზმის ხარჯზე იკვებებიან. ნაირმჭამელი ორგანიზმები კი საკვებად იყენებენ როგორც მცენარეულ, ასევე ცხოველურ საკვებს.

პრეზენტაციების შემდეგ მოსწავლეებს ვეტყვი, რომ საკვების მოპოვების გზები რთულია და მრავალფეროვანი. სხეულში მოხვედრილი საკვები რთულ გარდაქმნებს გაივლის. ორგანიზმში მოხვედრილი ცილები ამინომჟავებად, ცხიმები – გლიცერინად და ცხიმოვან მჟავებად, ხოლო ნახშირწყლები – გლუკოზამდე იშლება ფერმენტების დახმარებით. ამ პროცესს მონელება ეწოდება (1 წთ.)

შემდეგ გადავალთ სუნთქვის პროცესის განხილვაზე. მოსწავლეებს მივმართავ, რომ სუნთქვა ასევე უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო პროცესია და მისი ძირითადი დანიშნულება ორგანიზმის ენერგიით მომარაგებაა. სუნთქვისას ორგანიზმები ჟანგბადს შთანთქავენ და გარემოში ნახშირორჟანგს გამოყოფენ, თუმცა, ჟანგბადის მოპოვების ხერხი სხვადასხვა ორგანიზმს განსხვავებული აქვს. (1 წთ.)

შემდეგ მოსწავლეებს დავურიგებ წინასწარმომზადებულ სქემას, რომელიც მათ ინდივიდუალურად უნდა შეავსონ.




(ცხრილის მომზადებისას მასწავლებელი თავისი შეხედულებისამებრ შეარჩევს უჯრებს, რომელიც მოსწავლემ უნდა შეავსოს). (10 წთ.)

სქემის შევსების სისწორეს ფრონტალური კითხვების დახმარებით შევამოწმებთ. (4 წთ.)

ამის შემდეგ გადავალთ მოძრაობის პროცესის განხილვაზე.

მოსწავლეებს ვკითხავ, თუ როგორ მოძრაობს მცენარე და რა არის ამის მიზეზი? (3 წთ.)

სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ მცენარეს გადაადგილება არ შეუძლია, იგი სხეულის ნაწილებს ამოძრავებს – ღეროს, ფოთლებს, ყვავილებს. ზრდა ასევე მოძრაობის ერთ-ერთი სახეა, რადგანაც მცენარე ამ დროს უფრო მეტ სივრცეს ითვისებს. გარდა ამისა, მრავალი მცენარის ყვავილი ღამით, დღისით ან წვიმის დროს იხურება. როგორც წესი, მცენარის მოძრაობა ნელა ხორციელდება, თუმცა, ზოგიერთ მცენარეს სწრაფი მოძრაობაც ახასიათებს; მაგალითად, მორცხვი მიმოზა შეხებისთანავე ფოთლებს ძირს ხრის; მწერიჭამია მცენარეების ფოთლებიც სწრაფად მოძრაობს მსხვერპლის დაჭერისას.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთუჯრედიანი წყალმცენარეების მოძრაობა შოლტების საშუალებით.

შემდეგ გადავალთ ცხოველთა მოძრაობის განხილვაზე. ბავშვებს ვეტყვი, რომ ცხოველები ჰეტეროტროფები არიან და მათ გადაადგილება საკვების მოსაპოვებლად სჭირდებათ. კლასს დავყოფ ჯგუფებად და ვთხოვ, იმსჯელონ, თუ როგორ ხორციელდება მოძრაობა წყალში და ხმელეთზე. (4 წთ.)

პრეზენტაციები: (5 წთ.)

მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, რომ წყალში მცხოვრებ ორგანიზმებს მოძრაობისას წყლის წინააღმდეგობის დაძლევა უწევთ, რადგან წყლის სიმკვრივე ჰაერთან შედარებით მეტია. ერთუჯრედიანი ცხოველები ცრუფეხებით (ამება) ან წამწამებით (ქალამანა) გადაადგილდებიან.

თევზს გადაადგილებისთვის ფარფლი აქვს. წყლის ზოგიერთი ორგანიზმისთვის (რვაფეხა, მედუზა) რეაქტიული მოძრაობაა დამახასიათებელი. ამ დროს ცხოველი სპეციალურ ღრუში წყალს შეიწოვს, შემდეგ დიდი ძალით გამოტყორცნის და ჭავლის საპირისპირო მიმართულებით გადაადგილდება.

გარკვეული შეგუებულობა განუვითარდა წყალში მცხოვრებ ზოგიერთ ცხოველს – სელაპის კიდურები ლასტებადაა სახეშეცვლილი, რაც მას ცურვას უადვილებს.

ბაყაყებს, წყალში მცურავ ფრინველებს და ნიანგებს კი თითებს შორის აპკი აქვთ.

ხმელეთზე გადაადგილებისთვის ცხოველთა უმრავლესობას კიდურები აქვთ, ისინი დახტიან, დადიან, დარბიან, ცოცავენ, ხოხავენ. ის ორგანიზმები, რომლებსაც კიდურები არა აქვთ (ჭიაყელა, გველი), სხეულის დამოკლება დაგრძელებით ან დაკლაკვნით გადაადგილდებიან.

ჰაერში გადაადგილება ფრთების საშუალებით ხორციელდება.

გაკვეთილის შეჯამებისთვის დაფაზე დავკიდებ ცხრილს, რომელსაც ფრონტალური გამოკითხვით შევავსებთ.

| სასიცოცხლო პროცესი | მცენარეები | ცხოველები |
|---|---|---|
| კვება | | |
| სუნთქვა | | |
| მოძრაობა | | |

(7 წთ.)

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს ვეტყვი, რომ შემდეგ გაკვეთილზე კვლავ განვაგრძობთ სასიცოცხლო პროცესების განხილვას. მივცემ შესაბამის დავალებას.

*ნატა ბიჭიკაშვილი*
*ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი*
*ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა*

ინფორმაცია

# დირექტორთან „ფინჯან ჩაიზე“

წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი, ქალბატონი **მანანა ჩუხრუკიძე** ცდილობს მშობლების თვალით დაინახოს ის „ცხელი წერტილები“, რომლებიც ზოგჯერ მათი ყურადღების მიღმა რჩება. სკოლისა და მასწავლებლის ყველა ძალისხმევა შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს, თუ მშობელს არ აქვს გაცნობიერებული სწავლისა და განათლების მნიშვნელობა და არ ენდობა განათლების სისტემას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მშობელთა ჩართულობა ნაკლებად იკვეთება, ამიტომ სწორედ მშობლის დამოკიდებულებისა და განწყობის დადგენა იყო იმ კვლევის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს ჩატარდა სკოლა-ლიცეუმის საკონცერტო დარბაზში. მშობლები უჩვეულო შეტყობინებას იღებდნენ მობილურ ტელეფონზე, ისინი დირექტორთან იყვნენ მიწვეულნი „ფინჯან ჩაიზე“.

ქალბატონ მანანა ჩუხრუკიძის მიზანი იყო ორიგინალური ფორმით შეხვედროდა მშობლებს და გაერკვია: რა აწუხებდათ მათ? როგორია მათი დამოკიდებულება განათლების სფეროს მიმართ? როგორი სკოლა მიაჩნიათ წარმატებულ სკოლად? როგორი მასწავლებელი უნდათ, რომ ჰყავდეთ მათ შვილებს? რა როლი აქვს მშობელს შვილის წარმატებაში? – ეს იყო ის ძირითადი კითხვები რომლებითაც მშობლებს სკოლის პედაგოგებმა – **ნაზი გიგოლაშვილმა, ქეთევან ვანიშვილმა** და **ლეილა ნამორაძემ** მიმართეს.

მშობელთა უმრავლესობას, მიუხედავად სოციალური კუთვნილებისა, გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და მოვალეობები. მშობელთა 80% აღნიშნავს, რომ სკოლაში მიღებულ ნიშნებზე და სკოლის წარმატებით დასრულებაზეა დამოკიდებული, მიაღწევს თუ არა მისი შვილი წარმატებას ცხოვრებაში.

ანალიზის შემდეგ ყველამ აღიარა, რომ სკოლის, ოჯახისა და მოსწავლის თანამშრომლობა აუცილებელია მოსწავლეთა წარმატებული სწავლისათვის.

მთელ საღამოს ისმოდა როიალის სასიამოვნო ხმები, ინსტრუმენტთან – სკოლა-ლიცეუმის პედაგოგი **ნანა რუსაშვილი**. განსაკუთრებული მოწონება ერგო თამაშს „ჭორი“, რომელიც ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა პედაგოგმა **ნინო ბუაჩიძემ** მშობლებთან ერთად.

გამომშვიდობებისას მადლიერი მშობლები იმედს იტოვებდნენ, რომ ასეთი საქმიანი შეხვედრები ხშირად ექნებათ, რადგან წარმატებული მოსწავლე, კვალიფიციური მასწავლებელი და აქტიური მშობელი განაპირობებს სკოლის ეფექტურობას.

*ანა ჟამერაშვილი*
*სკოლის გულშემატკივართა*
*საბჭოს თავმჯდომარე*



# „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“



22 ოქტომბერს, აკაკი წერეთლის 170 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **გია მურღულია**) IX$^{ბ}$ კლასის მოსწავლეები, პროექტის – „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ“ ფარგლებში, პოეტის მშობლიურ მხარეს – იმერეთს ეწვივნენ. პროექტის სულისჩამდგმელი და ინიციატორი ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **თამარ ბარისაშვილია**. პროექტი სამ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე თბილისელმა მოსწავლეებმა აკაკის სახლ-მუზეუმი მოინახულეს და სხვიტორის საჯარო სკოლას (დირექტორი – **ალექსანდრე ზამბახიძე**) ესტუმრნენ.



**თამარ ბარისაშვილი**, 24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პროექტის „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ“ ხელმძღვანელი: *„პროექტის განხორციელების იდეა „ქართული სულის“ ფესტივალმა შთამაგონა. ვინაიდან ეს წელი აკაკის წლად არის გამოცხადებული, გადავწყვიტე ჩემს მოსწავლეებთან ერთად მიმეღო მონაწილეობა ამ ინიციატივაში. მოსწავლეებს პროექტის შინაარსი გავაცანი. მათი მხრიდან დაინტერესება დიდი იყო, გადავწყვიტე დამოუკიდებლად ემუშავათ თემებზე, მოიძიეს მასალები აკაკი წერეთლის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამის შემდეგ, აკაკის მშობლიური მხარის მოსანახულებლად იმერეთში გავემგზავრეთ. ასე დაიწყო პროექტის პირველი ეტაპის განხორციელება. თავდაპირველად, სოფელ სავანეს ვეწვიეთ, მოვინახულეთ აკაკის ძიძის სახლი, მოვილოცეთ წმინდა გიორგის კარის ეკლესია, აკაკის სახლ-მუზეუმში ყოფნის დროს ვაკვირდებოდი მოსწავლეების ემოციებს, ისინი დიდი ინტერესითა და გულისყურით ათვალიერებდნენ პოეტის პირად ნივთებს, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. იმერეთის ულამაზესმა ბუნებამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე. სხვიტორის VIII-IX კლასის მოსწავლეებმა გულთბილი მასპინძლობა გაგვიწიეს. ისინი საკმაოდ მომზადებულები დაგვხვდნენ, აკაკის სახლ-მუზეუმში საინტერესო ექსკურსი მოგვიწყვეს. ძალზე შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების მიერ შესრულებული სიმღერა – „სულიკო“, რომელიც აკაკის სახლ-მუზეუმის ეზოში, დიდი მუხის ქვეშ, ერთად შეასრულეს სტუმარ-მასპინძელმა მოსწავლეებმა. მოგვიანებით, მათ ექსკურსიაზე მყოფი კავთისხეველი ბავშვებიც შეუერთდნენ. ამის შემდეგ, სხვიტორის საჯარო სკოლას ვეწვიეთ, სადაც მოსწავლეებს შორის ჯგუფური მუშაობა ჩავატარეთ. მათ უნდა მოემზადებინათ თემები: „პოეტის მხატვრული და არამხატვრული ნაწარმოებები“; „აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა“; „განთიადი – საქართველოს სიყვარულის განუმეორებელი ჰიმნი“; „მოგონებები აკაკიზე“ – (არტურ ლაისტი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე); „სულიკოს“ ავტორი“; „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში – 1912 წელი“. ჯგუფურ მუშაობაში უპირატესობა პირველ ჯგუფს მიენიჭა (**ანი მიხელიძე, თეონა მოდებაძე, მარიამ თაბაგარი, თეონა გოშაძე** – სხვიტორის საჯარო სკოლა; **ჯესიკა კვარაცხელია, სალომე თოთლაძე, თაკო საღრიშვილი** – 24-ე საჯარო სკოლა). არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მესამე ჯგუფის (**დათო კასრაძე, დავით მაზმიშვილი** – 24-ე საჯარო სკოლა; **გიორგი მიხელიძე, არსენ მაჭარაშვილი, ნუკრი ომიაძე, ელენე შუბითიძე, ელენე შეყლაშვილი**) მუშაობა, ისინი გუნდური პრინციპით გამოირჩეოდნენ. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული გვქონდა მოსწავლეებისათვის გვეჩვენებინა ქართული მხატვრული ფილმი „აკაკის აკვანი“ (სამწუხაროდ, ფილმი ბევრ მათგანს ნანახი არ ჰქონდა). ჩვენების შემდეგ, საჯარო მსჯელობა გაიმართა, მოსწავლეებმა გამოთქვეს აზრი და ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს.*

*პროექტის პირველი ეტაპი მიზნად ისახავდა მოსწავლეების დამეგობრებას, მათ დამოუკიდებელ ფიქრს აკაკიზე. ორივე სკოლის მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი მიცემულ დავალებას. სამომავლოდ, ისინი კვლავ გააგრძელებენ მუშაობას, საფუძვლიანად დაამუშავებენ თემებს, ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს. ამის შემდეგ, დაგეგმილი გვაქვს კონფერენციის ჩატარება, სადაც სხვიტორელი და თბილისელი მოსწავლეები საზოგადოებას ერთობლივად დამუშავებულ თემებს წარუდგენენ.*

*პროექტის „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ“ პირველი ნიშნული ჩვენ უკვე გავდეთ სხვიტორის სკოლასთან. მეორე სერიოზული გასვლა გვექნება კახეთში, სადაც აკაკიმ თავის დროზე იმოგზაურა. პროექტის ფარგლებში ვაპირებთ კახეთის ერთ-ერთ სკოლასთან დამეგობრებას. მესამე ეტაპი იქნება „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ჩვენც იმ გზას გავივლით, რომელიც პოეტმა გაიარა. რა თქმა უნდა, პროექტი დიდ ძალისხმევასა და თანადგომას მოითხოვს. დიდი მადლობი მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის პედაგოგებს: **ხატია დანელიას** (პროექტის საინფორმაციო მენეჯერი) **ინგა გამყრელიძეს** (პროექტის კოორდინატორი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი) და ქალბატონ **ლამარა დოლიძეს** (IX$^{ბ}$ კლასის დამრიგებელი) პროექტში – „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ “ აქტიური მონაწილეობისათვის.*



*იმერეთში ჩვენი სტუმრობის დასასრულ, სხვიტორის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას, 24-ე სკოლის სახელით, საჩუქრად გადავეცით გურამ შარაძის წიგნი – „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში – 1912 წელი“. სხვიტორელმა მოსწავლეებმა კი თანატოლებს ღვთისმშობლის ხატი უსახსოვრეს“.*

**სალომე თოთლაძე**, 24-ე საჯარო სკოლის IX$^{ბ}$ კლასის მოსწავლე: *„პროექტში მონაწილეობისთვის მოვამზადე თემა – „მოგონებები“, არტურ ლაისტის „აკაკი წერეთელი“. თემაზე მუშაობის დროს ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი შევიტყვე პოეტის ცხოვრებიდან. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ფრაზა, სადაც მისი პიროვნული ღირსებები იკვეთება: „აკაკი არა მარტო სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი იყო, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა მეგობარიც. იგი მეხად ევლინებოდა ფარისევლებს, მჩაგვრელებსა და კაცობრიობის სხვა მტრებს, გესლიანი დაცინვით ამათრახებდა მათ. აკაკის თავის თხზულებებში დროშასავით მაღლა ეჭირა ზნეობრივი მხარე, ამით ის კიდევ უფრო მტკიცედ დარჩება თავისი ხალხის ხსოვნაში“. სახლ-მუზეუმის დათვალიერებისას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აკაკის აკვანმა. სხვიტორელ თანატოლებთან ერთად, მონაწილეობა მივიღეთ ჯგუფურ მუშაობაში. მოვამზადეთ თემა: „აკაკი წერეთლის მოგონებები და შთაბეჭდილებები“. აღსანიშნავია, რომ სხვიტორელი ბავშვები ძალიან კარგად იცნობენ პოეტის შემოქმედებას, ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მათ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდეს. გუნდურ მუშაობაში ჩვენმა გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა“.*



**თამარ საღრიშვილი**, 24-ე საჯარო სკოლის IX$^{ბ}$ კლასის მოსწავლე: *„სხვიტორში წასვლამდე სერიოზულად ვიმუშავე პოეტის ბიოგრაფიაზე, ნაწილობრივ გავეცანი მის შემოქმედებას. გულდასმით წავიკითხე ნოდარ წულეისკირის წერილი „აკაკი სკოლაში, აკაკი ცხოვრებაში“. ამ ნაშრომით მივხვდი, რომ „მოხუცის ლანდი“ არ უნდა ასვენებდეს ქართველს, მასზე ფიქრი მთელი ცხოვრების მანძილზე თან უნდა სდევდეს. მართალია, აკაკი წერეთლის შემოქმედებას ჯერ სრულყოფილად არ ვიცნობ, მაგრამ პოემების: „გამზრდელი“ და „თორნიკე ერისთავი“; ლექსების: „განთიადი,“ „ჭაღარა“, „სულიკო“ წაკითხვის შემდეგ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ აკაკი წერეთელი ჩემი საყვარელი პოეტია. მიხარია, რომ დღეს თანატოლებთან ერთად პოეტის მშობლიურ სხვიტორში ვიმყოფები. აქ, ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ თანაკლასელებთან ერთად აკაკის სახლ-მუზეუმის მონახულებამ გაცილებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სასიამოვნოა სხვიტორელი თანატოლების გაცნობა, დავმეგობრდით და ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება“.*

**დავით მაზმიშვილი**, 24-ე საჯარო სკოლის IX$^{ბ}$ კლასის მოსწავლე: *„პროექტისთვის მოვამზადე თემა – „აკაკის უნიკალური ჩანაწერები“ კერძოდ, „ერთი მიმართვა ახალგაზრდებისადმი“ და რამდენიმე ლექსი: „მომაკვდავის ფიქრები“, „განთიადი“ და სხვ. მასალებზე მუშაობას დიდი ინტერესით შევუდექი. ვფიქრობ, თემა საინტერესო გამოვიდა. იმერეთის წარმტაცმა ბუნებამ და სანახებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავდაპირველად სოფელი სავანე მოვინახულეთ და მოვილოცეთ წმინდა გიორგის სახელობის კარის ეკლესია, შემდეგ სხვიტორში გავემგზავრეთ, ძალიან მომეწონა აკაკის სახლ-მუზეუმი. გულდასმით ვათვალიერებდი პოეტის ნივთებს, განსაკუთრებით მომეწონა საწერი მაგიდა, ბიბლია. ხატმა, რომელიც პოეტის სასთუმალთან ეკიდა, ჩემთვის უფრო*



→ 10

აკაკი წერეთელი — 170

# „ახალგაზრდებო, ან კი თქვენ“

*მეცხრე გვერდიდან*

*შთამბეჭდავი გახადა ლექსი „ხატის წინ“, რომელიც ძალიან მიყვარს. სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სხვიტორელ თანატოლებთან ერთად გუნდურ მუშაობაში მივიღე მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ სხვიტორელმა ბავშვებმა ძალიან კარგად წარმოაჩინეს თავი. ჩვენ გუნდური მუშაობის პრინციპით გამოვირჩეოდით, ვიზიარებდით ერთმანეთის აზრს და პრეზენტაციის დროს საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოვახდინეთ მსმენელზე“.*

**ანი აბრამიშვილი**, 24-ე საჯარო სკოლის IXბ კლასის მოსწავლე: *„ძალიან მომეწონა სხვიტორი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, აკაკის სახლ-მუზეუმში განთავსებულმა პოეტის პირადმა ნივთებმა, ბიბლიოთეკამ, საათმა, რომელიც იმ დროს აჩვენებს, როდესაც პოეტი აღესრულა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სოფელი სავანე, აკაკის ძიძისეული სახლი. თითქოს ჩემ თვალწინ გაცოცხლდა პოეტის უტკბესი გრძნობით გადმოცემული მოგონება: „საწერეთლოში, ზემო იმერეთში, – ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალთვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“... „თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრო-უსარკმელო მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხართეძოზე წამოწოლილი დევივით იდვა დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტელად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა“. მართლაც ასეთი კეკლუცი სოფელია სავანე. რაც შეეხება პროექტში ჩვენი კლასის მონაწილეობას, ძალიან მიხარია. ამ დღისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდი, პროექტზე მუშაობამ საკმაოდ დიდი გამოცდილება შეგვძინა, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია შევიტყვეთ აკაკი წერეთლის შესახებ. პროექტის მეორე ეტაპს უფრო მომზადებულები შევხვდებით. და, რაც ყველაზე მთავარია, პროექტმა – „ახალგაზრდებო ან კი თქვენ“ ახალი მეგობრები შეგვძინა, რაც ძალიან მახარებს“.*

**თიკო კორინთელი**, 24-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე: *„არასოდეს დამავიწყდება სხვიტორში გატარებული დღე. ძალიან მიხარია, რომ ამ პროექტის მონაწილე ვარ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პოეტის მამაპაპისეულმა კარ-მიდამომ. როცა სხვიტორის წარმტაცი ბუნება ვიხილე, ჩემ თვალწინ გაცოცხლდა აკაკის შთაბეჭდილებები, რომელიც „ჩემ თავგადასავალში“ აქვს მოთხრობილი. როდესაც მამის სასახლეს, თავის ბავშვობას, მშობლიურ მიდამოებსა და იმდროინდელ ცხოვრებას აღწერს, აღნიშნავს: „მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადესად პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები... ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას ვაძლევ... ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე. სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე სდგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე – დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში 1841 მიწერია“.*

**ლალი დოლიძე**, სხვიტორის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„ეს დღე ალბათ დაუვიწყარი იქნება ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის. პროექტი მართლაც საინტერესოა, იმედია მომავალშიც გაგრძელდება და ამით კიდევ უფრო გაღრმავდება, ორ სკოლას შორის ურთიერთობა. როდესაც შევიტყვეთ, 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ჩვენთან სტუმრობას აპირებდნენ, რა თქმა უნდა, სათანადოდ მოვემზადეთ მათ დასახვედრად. ჩვენი სკოლის VIII-IX კლასების მოსწავლეები (დამრიგებლები: **დალი ზამბახიძე** და **ციური ცარციძე**) დიდი ინტერესით შეუდგნენ აკაკი წერეთლის შესახებ მასალების შეგროვებას. დამოუკიდებლად მოიძიეს ინფორმაცია პოეტის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ. სტუმრების წინაშე საკმაოდ მომზადებულები წარდგნენ. აღსანიშნავია, რომ სხვიტორელმა მოსწავლეებმა თბილისელ თანატოლებს აკაკის სახლ-მუზეუმში ერთგვარი გიდობა გაუწიეს. ეს ძალზე შთამბეჭდავი იყო. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს და პოეტის შესახებ საინტერესო ისტორიებს ჰყვებოდნენ. ასევე საინტერესოდ იყვნენ მომზადებულები 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო 24-ე საჯარო სკოლას, პროექტის „ახალგაზრდებო ან კი თქვენ“ ხელმძღვანელს, ქალბატონ თამარ ბარისაშვილს ასეთი საინტერესო ინიციატივისთვის“.*

**ლამარა ტაბატაძე**, 24-ე საჯარო სკოლის IX კლასისი დამრიგებელი: *„პროექტში მონაწილეობას დიდი სიხარულით შევხვდი. სხვიტორში არა ერთხელ ვყოფილვარ ჩემს მოსწავლეებთან ერთად, მაგრამ ეს დღე განსაკუთრებული, შემოქმედებითად დატვირთული იყო. მსგავს პროექტებში მოსწავლეების ჩართვა მართლაც მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ პროექტში ჩემი სადამრიგებლო კლასი მონაწილეობს. ვიმედოვნებ, სამივე ეტაპს წარმატებით გავართმევთ თავს. დიდი მადლობა ქალბატონ თამარ ბარისაშვილს არაჩვეულებრივი წამოწყებისათვის. ვფიქრობ, პროექტმა საფუძველი ჩაუყარა მოსწავლეებში აკაკის შემოქმედების ღრმად გაცნობას, ისინი ეზიარნენ მის პოეზიას და რაც მთავარია, პროექტი – „ახალგაზრდებო ან კი თქვენ“ დარჩება სიმბოლოდ სხვიტორელი და თბილისელი მოსწავლეების დამეგობრებისა. დიდი მადლობა სხვიტორის საჯარო სკოლას გულთბილი მასპინძლობისათვის“.*

***მაკა ყიფიანი***

# მგოსნის თბილისურ იუბილეზე



გლდანულის დასახლებაში 1987 წლიდან ფუნქციონირებს 59-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **თეიმურაზ კავსაძე**), რომელშიც 802 მოსწავლეს 61 პედაგოგი ემსახურება. პროექტ „იაკობ გოგებაშვილის “ ფარგლებში სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველად 2007-08 წლებში ჩაუტარდა – გამოიცვალა კარ-ფანჯრები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა. სკოლის ინიციატივით და სახსრებით კი 2009 წლის ზაფხულში გარემონტდა სკოლის ოთხივე სართულის დერეფანი და 17 საკლასო ოთახი. წელს გარემონტდა სპორტული დარბაზი, ქართული ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო და ისტორიის კაბინეტები. საგნობრივი კაბინეტების კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში. სკოლას აქვს საცურაო აუზი, რომელიც, ჯერჯერობით, არ ფუნქციონირებს. სკოლის დირექცია აწარმოებს მოლაპარაკებებს ინვესტორებთან საცურაო აუზის აღსადგენად. როგორც სკოლის დირექტორმა, ბატონმა თეიმურაზმა გვითხრა: *„გლდანის მასივის არც ერთ სკოლაში საცურაო აუზი არ ფუნქციონირებს. ამიტომ მისი აღდგენა მეტად მნიშვნელოვანია. ინვესტორებთან გვაქვს ასეთი პირობა – საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე აუზით ისარგებლებს უფასოდ, ხოლო სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ აუზი აბონემენტების ხარჯზე იმუშავებს. სპორტის სახეობებიდან სკოლამ აირჩია ხელბურთი, ფრენბურთი და ფეხბურთი. ვცდილობთ, ბავშვებს სწავლისათვის ყველანაირი პირობა შევუქმნათ.“*

სკოლა დამეგობრებულია თურქეთის რამდენიმე სკოლასთან. მოსწავლეები, თურქეთის საელჩოს დახმარებით, 2 წელია ტრაპზონის „მიმარ სიმამის“ სახელობის სკოლას სტუმრობენ. აპრილის თვეში, თურქეთში ტარდება საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი, რომელშიც 59-ე სკოლის მოსწავლეებიც იღებენ მონაწილეობას. იგეგმება მასპინძლების საქართველოში ჩამოსვლაც.

სკოლას მეგობრული ურთიერთობები საქართველოს სკოლებთანაც აქვს. მაგალითად, თელავის საჯარო სკოლასთან. ამჟამად, მეგობრების სიას საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის სკოლაც შეემატა.

59-ე სკოლის VII² კლასის მოსწავლეები 2010 წლის მაისში სხვიტორს სტუმრობდნენ. მასპინძელი სკოლა თბილისელ სტუმრებს არნახული სტუმართმოყვარეობით დახვდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ინიციატივით (კათედრის ხელმძღვანელი – **ნინო ქორიძე**) აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა, რომლის ფარგლებში არაერთი ღონისძიება გაიმართა. კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე სხვიტორელებიც მოიწვიეს.

სააქტო დარბაზში სტუმარ-მასპინძელი ერთად ადევნებდა თვალს სპეციალურად მოწყობილ ეკრანზე სხვიტორში სტუმრობის ამსახველ ვიდეოკადრებს.

ღონისძიებაზე მოსწავლეებმა აკაკის ბიოგრაფია და შემოქმედება წარმოადგინეს , შესრულდა მუსიკალური ნომრები, ქართული ცეკვები. საღამოში აქტიურად იყვნენ ჩართული V¹ კლასის მოსწავლეებიც.

ღონისძიების ორგანიზატორი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **მარინა სარიშვილი** გახლდათ. *„VIII² კლასის დამრიგებელი ვარ და ჩემს სადამრიგებლო კლასთან ერთად გადავწყვიტე აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავთან დაკავშირებულ იუბილეში მონაწილეობის მიღება. 5 მაისს ვეწვიეთ სხვიტორს. მგოსნის სახლ-მუზეუმი მოვინახულეთ, დავათვალიერეთ მხარეთმცოდნეობის სახლ-მუზეუმიც, იქიდან საოცრად კმაყოფილები დავბრუნდით. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სხვიტორში საოცარი სკოლა ვიხილეთ, რომელიც სხვიტორელ ბავშვებს ქართველმა ბიზნესმენმა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაურემონტა. იქიდან დაბრუნებულებმა ჩვენც დავიწყეთ ზრუნვა აკაკის საიუბილეო ღონისძიების მოსაწყობად. დღეს მოსწავლეებმა წარმოადგინეს „გამზრდელის“ ინსცენირება. ლიტერატურული საღამოს შემდგომ დაგეგმილი გვაქვს სტუმრების სამების საკათედრო ტაძარში წაყვანა, ასევე, გვინდა მათთან ერთად მთაწმინდაზე დიდი მგოსნის საფლავთან მივიდეთ. იმედი მაქვს, ჩვენი მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება“.*

**მაკა ზაბახიძე**, სხვიტორის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი, ჯგუფის ხელმძღვანელი: *„ჩვენი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა თბილისის 59-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები მაისში გაიცნეს. მას შემდეგ ინტერნეტით ჰქონდათ მიმოწერა. ძალიან უხაროდათ თბილისში ჩამოსვლა. ასეთი შეხვედრები უფრო გაამყარებს მათ მეგობრობას. ჩვენმა მოსწავლეებმა სხვიტორში სტუმრებს დაათვალიერებინეს აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი და გიდობა თავად გაუწიეს. დღეს კი მათი მასპინლობით თბილისში მოვინახულებთ მგოსნის საფლავს და სამების საკათედრო ტაძარს.“*

საღამოს დასასრულს ღონისძიება პოეტმა **ერეკლე საღლიანმა** შეაფასა: *„დიდი მადლობა ბავშვებს, სკოლის ხელმძღვანელობას, მასწავლებლებს ამ ლამაზი ღონისძიებისათვის. მივესალმები სხვიტორელ სტუმრებს. აკაკის გვარისა და სახელის მიღმა დიდი ისტორიაა. ბავშვებმა ბრწყინვალედ წარმოადგინეს დიდი მგოსნის შემოქმედება და ცხოვრება.“*

ღონისძიებას ესწრებოდა გლდანულის ეკლესიის მოძღვარი მამა ნერსე.

სიმბოლურად დასრულდა სხვიტორელთა თბილისური ვოიაჟი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მგოსნის საფლავზე სხვიტორელი და თბილისელი მოსწავლეების ჟრიამულით კიდევ ერთი ისტორიის ფურცელი ჩაიწერა მათ ცხოვრებაში, აკაკისავე სიტყვებით: „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!...“

***ნინო საყვარელიძე***



აკაკი წერეთელი — 170

# მოსწავლეთა კონფერენცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივას – საქართველოს საჯარო სკოლებში აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კვირეულს თბილისის მე-40 სკოლაც გამოეხმაურა.

სკოლაში სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა. მათ შორის ძირითადი იყო კონფერენცია „აკაკი წერეთელი 170 წლისაა", რომელიც 28 ოქტომბერს ჩატარდა. კონფერენცია მოამზადეს სკოლის ბიბლიოთეკის გამგემ **ფარიდა კიკნაძემ** და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **მანანა ბაკურაძემ**, მონაწილეობდნენ IX$^1$ და IX$^2$ კლასების მოსწავლეები, ვინც ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან. მათ მიერ წარმოდგენილ ლიტერატურულ ნარკვევებში აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები გაშუქდა, კერძოდ:

*აკაკის ოჯახური გარემო* (**მერი მაჭარაშვილი, ანანო გიგუაშვილი**). მომხსენებლებმა თავად აკაკის სიტყვების მოშველიებით დაახასიათეს მისი მშობლები და და-ძმები, დახატეს სხვიტორისა და სავანეს თვალწარმტაცი პეიზაჟები, მდინარე ჩიხურა, ძიძას ოჯახში გატარებული წლები.

*„მამაჩემი... ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენა მჭევრი, თუმცა კი ხშირად ენამწარეც. დედაჩემი იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოჰყვათ დახურდავებულიო."*

*„საკვირველი ზნე სჭირდა დედას, თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი, და ხანგრძლივი უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს."* – ასე ახასიათებს პოეტი დედ-მამას.

*აკაკის ბავშვობის წლები* (**ანა ვასაძე, სერგი დემეტრაშვილი, სოფიკო ასლამაზაშვილი**) და *გიმნაზიაში სწავლის პერიოდი* (**ლევან ენუქიძე, გიორგი გიგუაშვილი, ნოდარ ლებანიძე**).

*„გიმნაზიაში შესვლისას, ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვა შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსაღებშიდაც გატეხილი მქონდა თვალი დედაჩემის წყალობით."* – იხსენებდა აკაკი.



მოსწავლეებმა კონფერენციის მსმენელებს პოეტის მოწაფეობის არა ერთი ეპიზოდი შეახსენეს და შესანიშნავად დაახასიათეს იმ დროს გამეფებული სასკოლო რეჟიმი. ისაუბრეს ამ რეჟიმის დამღუპველ გავლენაზე და იმ სულიერად და ფიზიკურად გახრწნილ ადამიანებზე (როგორც მათ აკაკი ახასიათებდა), რომლებიც პედაგოგების სახელს ატარებდნენ და ვის ხელშიაც იყო ქართველი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმე. გაიხსენეს, თუ როგორ შეხვდა აკაკის მამა შვილის გადაწყვეტილებას გიმნაზიიდან გამოსვლის შესახებ. *„შენი ნებაა, შვილო. მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო"* – უთქვამს როსტომ წერეთელს.

*რუსეთში ყოფნის პერიოდი* (**თორნიკე თოდაძე, გაგა ვეშაგური**) საკმაოდ დეტალურად და საფუძვლიანად იყო შესწავლილი და წარმოდგენილი. მოსწავლეები აკაკის ცოლის თხოვის ისტორიაზეც კი შეჩერდნენ და აკაკისვე სიტყვებით გადმოსცეს: *„ნურავინ ნუ დაიჩემებს: მომავალში ამას ვიზამ, თუ იმასო! მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყველაფერი შესძლებია!"*.

დაბოლოს *სამშობლოში დაბრუნება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა* (**ლევან მდინარაძე, ნინო გიგაშვილი, დეა გაბაიძე**). მომხსენებლებმა აღნიშნეს პოეტის ღვაწლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და ქართული თეატრის აღორძინების საქმეში.

ამაღელვებელი იყო აკაკის ილიასთან გამოთხოვების წუთების გახსენება: „დიდი ამაღელვებელი მომენტი იყო, როცა სასახლის ქუჩაზე პროცესია გააჩერეს და სასტუმრო „კავკაზიდან" ხელით ჩამოიყვანეს მაშინ ავადმყოფი აკაკი წერეთელი, რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. ბოლოს ატირდა და მიაძახა: „მეც მალე მოვალ შენთან, ილია!"

კონფერენციის მონაწილეებმა შემდეგი თემატიკაც წარმოადგინეს:

■ აკაკი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიშნულების შესახებ (**ნიკა მამნიაშვილი**);

■ მოღვაწეობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის (**თორნიკე ვარაზაშვილი**);

■ მოღვაწეობა ქართული თეატრის აღორძინებისათვის (**რუსუდან ალთუნაშვილი**);

■ აკაკი ხალხური შემოქმედების შემკრები და გამომცემელი (**გიორგი ბუაძე**);

■ აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლები (**საბა ბაინდურაშვილი, ნინო ზურაბიშვილი**).

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მანანა ბაკურაძემ საინტერესოდ ისაუბრა აკაკის დამსახურებაზე ქართველი ერისა და სამშობლოს წინაშე. *„მისი შემოქმედება საუკუნო საგზლად და სულიერ საზრდოდ მიიჩნევა მომავალი თაობების ღირსეულად აღზრდის საქმეში."* – აღნიშნა მან.

II განყოფილება მხატვრული კითხვის ოსტატებს დაეთმოთ. სკოლის VII$^2$ კლასის მოსწავლეებმა: **ქეთი ქადაგიშვილმა, ნინო ღვინიაშვილმა, ლაშა ქადაგიშვილმა** და **გიორგი ხარებავამ** ძალზე შთამბეჭდავად წარმოადგინეს აკაკის ცნობილი ლექსები. მათ ტოლს არ უდებდნენ IX$^1$ და IX$^2$ კლასის მოსწავლეები. სასიამოვნო მოსასმენი იყო ლექსები, რომლებიც შემდგომში ცნობილ სიმღერებად იქცა: „განთიადი", „ჩემო ციცინათელა", „ჩონგურს სიმები გავუბი...", „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია", „ყოველ სნეულებაზედ...", „ნახევარი ცხოვრების გზა განვლიე...", „სანამ ვიყავ ახალგაზრდა" და სხვ.

აკაკი წერეთლის დაბადების 170 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება დასრულდა ცნობილ ლექსზე შექმნილი სიმღერით „სულიკო".

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი **ელისო დოლაკიძე**, დირექციის წევრები და პედაგოგები.

*მარიკა ბენიძე*

# აკაკის დღეები 182-ე საჯარო სკოლაში

*„ღმერთებმა მიაფრქვიეს მას ყოველი: დიდი ნიჭი, სწორუპოვარი სილამაზე, გვაროვნობა, სიმდიდრე... ჭეშმარიტად იგიც იყო „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთა"*, – ასე წერდა გრიგოლ რობაქიძე 1915 წელს „სახალხო ფურცელში". მაშინ ქართველი ერი ეთხოვებოდა თავის სასიქადულო მგოსანს, აკაკი წერეთელს"...

წელს კი საქართველო საზეიმოდ აღნიშნავს აკაკი წერეთლის დაბადების 170-ე წლისთავს.

თბილისის 182-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც გადაწყვიტეს, ამ საყოველთაო ზეიმის თანამონაწილენი გამხდარიყვნენ. დიდი მონდომებით დაეწაფნენ აკაკის პოეზიის თავანკარა წყაროს, რომელიც თვით ცხოვრებასავით დაუშრეტელია.

კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები – მოეწყო პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კედლის გაზეთების გამოფენა; აკაკის ლექსები ოსტატურად წაიკითხეს ნორჩმა დეკლამატორებმა; გამოცხადდა თხზულების კონკურსი – „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი". გაიმარჯვეს XII და IX კლასის მოსწავლეებმა: **ანი ლაზვიაშვილმა** და **სალომე ეპიტაშვილმა;** ხელოვნების მასწავლებლებმა – **ინგა ხვიჩიამ** და **ნინო ჩხაიძემ** მოაწყვეს აკაკის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ნახატების გამოფენა.

დაწყებითი კლასების პედაგოგებმა – **ნინო ჯინჭარაძემ, ქეთევან ბურდულმა ჯილდა მდივნიშვილმა, ციური ქიტოშვილმა** I-IV კლასებში ჩაატარეს ლიტერატურული საღამოები. **დარეჯან ნოზაძის** მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება „მოგონებები აკაკიზე", ხოლო **ჯულიეტა მაისურაძის** IV-კლასელებმა – „მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაა და ვაება, ამირანი ჯაჭვებით დაბმული უკვდავება".

მუსიკის მასწავლებლებმა – **მადონა კალაძემ** და **თამარ ძამაშვილმა**, გამართეს აკაკის ლექსებზე დაწერილი სიმღერების კონკურსი; მოსწავლეებმა უცხოურ ენებზე (ინგლისურად, გერმანულად, რუსულად) წაიკითხეს აკაკის ლექსები და შეასრულეს მათზე დაწერილი სიმღერები. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის" პროგრამით წარმოგზავნილი ამერიკელი პედაგოგი **რაიმონდ დენი**.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **ეთერ ხიდაშელის** VI-VII კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს აკაკის ბიოგრაფიული მონაცემებით და პოეზიით, მუსიკითა და თეატრალური ინსცენირებებით გამდიდრებული ლიტერატურული მონტაჟი.

ერთი კვირის მანძილზე სკოლაში საზეიმო განწყობა სუფევდა, რომელიც სკოლის დირექტორის **არჩილ ჩხაიძის** ინიციატივით, სხვიტორში ექსკურსიით დასრულდა.

პატარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათ ჟრიამულით აავსეს აკაკის კოხტა და ლამაზი სასახლის კარ-მიდამო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა მათზე სახლ-მუზეუმმა და კარის ეკლესიამ. გადაუღებელ წვიმას არ შეუშლია ხელი ბავშვებისათვის, რომ ემხიარულათ. ეს უმშვენიერესი დღე დაუვიწყარი იქნება მათთვის.

*ლირა ზუბიაშვილი*
*182-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე*





სპორტი

# საქართველო ევროპის ჩემპიონია





ქართული რაგბი ახალ-ახალი წარმატებებით გვახარებს. ამჯერად უმცროსების ჯერი დადგა – 19-წლამდელთა ნაკრებმა ბელგიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში დამაჯერებლად გაიმარჯვა. გზად ძალზე ძლიერ გუნდებსაც მოუგეს: პორტუგალიას 27:2 აჯობეს, ნახევარფინალში უმთავრეს კონკურენტ რუმინეთს სძლიეს 29:3, ფინალში კი რუსები დაამარცხეს 38:7. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყდა, რომელიც ჩვენებმა 24:0 მოიგეს. ეს ანგარიში ცხადად ასახავს თამაშის მიმდინარეობას, დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ რუსებმა ერთადერთი ლელო შეხვედრის მიწურულს დაგვიდეს, როცა 31:0 ვიგებდით. ჩვენმა მორაგბეებმა ეს გამარჯვება აგვისტოს ომში დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნას მიუძღვნეს.

ეს წარმატება, თავისი მნიშვნელობით, ისედაც გამორჩეულია – გუნდურ სათამაშო სახეობებში ევროპის ჩემპიონები, თუნდაც ასაკობრივ ნაკრებებში, არც ისე ხშირად ვხდებით, მაგრამ ფინალში რუსთა ძლევამ, დამატებითი სტიმული შესძინა. როგორც ბოლო წლებში ხშირად ხდება ხოლმე, ამ მოგებამაც პოლიტიკური ელფერი შეიძინა დ ქვეყანაში დიდი რეზონანსი მოჰყვა – მორაგბეებს წარმატება ქვეყნის პრეზიდენტმა მიულოცა; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** საგანგებოდ მიიღო გუნდი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაგბი გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს და მომავალში ბევრად სოლიდური ყურადღებაც მიექცევა. მინისტრმა მათ ხუმრობით ისიც ჰკითხა, ფეხბურთის თამაში არ იცითო?

ამ ბიჭებს ხელის შეწყობა მართლაც სჭირდებათ. სპეციალისტთა შეფასებით, ეს თაობა ერთ-ერთი ნიჭიერი და გამორჩეულია ქართული რაგბის ისტორიაში და მათგან დიდ შედეგს ელიან. ახლა საჭიროა მაქსიმალური დახმარება, ეს ნიჭი რომ არ გაიფანტოს და უკვალოდ არ დაიქსაქსოს.

ბელგიაში მოპოვებული წარმატებით ჩვენმა ახალგაზრდებმა გაისად, აპრილში გასამართ „ჩელენჯ ტროფის“ ტურნირში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, იქ კი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძოლებენ, მათი მეტოქეები აშშ-ს, იაპონიის, ურუგვაისა და სამოას ნაკრებები იქნებიან.

19-წლამდელთა გვერდით, ევროპული ტურნე წარმატებით დაამთავრეს 15-წლამდელებმაც, რომლებმაც, ასევე წინა კვირაში, ჟენევაში გამართულ შვიდკაცა რაგბის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავეს. მათ ფინალი სამხრეთ აფრიკელებთან წააგეს ერთადერთი ლელოთი, ასეთი სხვაობა კი მხოლოდ დასანანია და არავითარ შემთხვევაში – დასაძრახი ისეთი ძლიერი სარაგბო ქვეყნის წარმომადგენელთან, როგორიც „ბოკეა“.

თანამემამულეებს არც 17-წლამდელები ჩამორჩებიან, რომლებიც ახლა იმყოფებიან უკრაინულ ტურნეზე და პირველ მატჩში ოდესაში მასპინძლები 55:13 დაჯაბნეს.

ამ მოზარდების თამაშისა და მათი შეგირდების შემყურეთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ რაგბის მართლაც გამორჩეულად კარგი თაობა ეზრდება, რომელსაც თავისუფლად ხელეწიფება დიდი შედეგების მიღწევა. ოღონდ საამისოდ ხელშეწყობა, სათანადო პირობების შექმნაა აუცილებელი, რასაც, იმედია, არ მოაკლებენ.

# ახალი ყაიდის მოჭიდავე



ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა წარმატებით იჭიდავა თანატოლთა მსოფლიო პირველობაზე – 1-1, ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გახდა, ბრინჯაო კი ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონმა, ახალი თაობის ერთ-ერთ ტალანტად შერაცხულმა **ზებედა რეხვიაშვილმა** (73) მოიპოვა.

იქნებ მედლები არაა ბევრი, მით უფრო, რომ ახალგაზრდებმა ამ ტურნირზე პირველად ისარგებლეს ახალი წესით და ყოველ წონაში თითო ქვეყნიდან 2-2 მონაწილე გამოდიოდა. ჩვენი ნაკრებიც სრულად იყო დაკომპლექტებული, თუმცა სამი ძიუდოისტი საკუთარი ხარჯით წავიდა – მთავარმა მწვრთნელმა **გია გუგავამ** იქ კანდიდატთა მომზადება არასაკმარისად მიიჩნია, თუმცა მსურველებს საკუთარი ხარჯით წასვლაც არ დაუშალა. სამაგიეროდ, ამ ტურნირმა რამდენიმე დადებითი ტენდენცია წარმოაჩინა – მედალოსანთა გარდა, ორი მეხუთე, ორიც კი მეშვიდე ადგილზე გავიდა, ანუ გუნდი საკმაოდ სტაბილურად გამოვიდა; დამტკიცდა, რომ მწვრთნელთა აღებული კურსი სწორია და ქართული ძიუდო ამოვა იმ ჭაობიდან, სადაც ბოლო წლების შიდა ინტრიგების შემდეგ აღმოჩნდა (ამ გუნდმა, ერთი თვით ადრე, ევროპის პირველობაზეც წარმატებით იჭიდავა – ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვა); ჭრიკიშვილმა გამორჩეულ წარმატებას მიაღწია და არა მხოლოდ ჩვენი, უცხოელი სპეციალისტებიც აალაპარაკა.

ამ ბიჭმა ერთი თვის წინ ევროპის პირველობაც მოიგო. თანაც, დაუძაბავად, როგორც იტყვიან – ცალი ხელით. მაშინ მისი უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, ყველამ მიიჩნია მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტად. თუმცა ის შეჯიბრება ევროპისაზე ბევრად ძლიერი რომ იქნებოდა, ესეც ყველამ იცოდა – გეოგრაფიას და მონაწილე გუნდების გაზრდილ რაოდენობას რომ თავი დავანებოთ, ევროპაზე ქვეყნიდან წონაში მხოლოდ თითო კაცი ჭიდაობდა, მსოფლიოზე კი, როგორც გითხარით, 2-2.

ჭრიკიშვილი ამ სიძნელეებს იოლად გაუმკლავდა და ბოლო ორი შეხვედრა სწორედ ერთი ქვეყნის წარმომადგენლებთან ჩაატარა, მაგრამ ქვეყანასაც გააჩნია – იაპონელებთან. როცა ნახევარფინალში **იუნ ტოიოდა** დაამარცხა, თურმე იაპონელთა ნაკრების მთელი სამწვრთნელო შტაბი, დაახლებით 20 წუთი, ბჭობდა, მეორე შეგირდის – **იუიჩი კიტანოსთვის** რა ტაქტიკა შეერჩიათ ფინალში ჭრიკიშვილთან საჭიდაოდ. ამაოდ – ფინალმა დაადასტურა, რომ ვერაფერიც ვერ შეურჩიეს – ჩვენებურმა უზადო მოგვერდით ვაზარზე დააგდო მეტოქე, შეხვედრის დასასრულს კი კიდევ უფრო თვალსასეირო ილეთი, ნამდვილი ტრიუკი შესთავაზა – ისევ მოგვერდით, ჰაერში ტრიალით, გადაისროლა და უზადო იპონზე დასცა, მაგრამ დრო ამოწურული იყო და ეს სანახაობა ოდენ ტრიუკად დარჩა, თუმცა შერცხვენილი იაპონელი კარგა ხანს იწვა ტატამზე და სახეზე ხელაფარებული ტიროდა.

*„ჭრიკიშვილი ამოუცნობი მოჭიდავეა – ერთ მხარეს რომ აუღებენ ჩავლებას, მეორე მხრიდან ჭიდაობს. ორივე მხრიდან შეუძლია ილეთების კეთება. იშვიათია მოჭიდავე, რომელსაც ერთდროულად შეეძლოს ორივე მხარეს ჭიდაობა. მისი შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული და ფსიქოლოგიურადაც. ძალიან წყნარია და მშვიდი. კვარცხლბეკზე ისე იდგა, თითქოს საპასპორტო სურათს იღებდა. ამ დროს ემოციას სხვადასხვანაირად გამოხატავენ, ამას კი ნერვი არ შეტოკებია. საერთოდ, მტკიცე ნერვული სისტემით გამოირჩევა. თან ახლებური სტილის მოჭიდავეა, რომელიც დიდ შედეგს მიაღწევს – წლევანდელი დუბლი მისთვის მხოლოდ დასაწყისია. მითითებაც არ სჭირდება, რადგან ყველაფერს უშეცდომოდ აკეთებს და ყველა ნიუანსი იცის. მისი გამოსვლისას შემიძლია, მშვიდად ვიყო და წყნარად მივადევნო თვალი შეხვედრას. მსოფლიოს პირველობა ევროპის ჩემპიონატზე ბევრად რთული შეჯიბრებაა. იქ უზომოდ დიდი კონკურენციაა და ის რომ დაძლიო, ავთანდილ ჭრიკიშვილი უნდა იყო“* – ასე დაახასიათა შეგირდი გუგავამ.

სეზონში დუბლის გაკეთება მართლაც საპატიოა და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. თუმცა ამ ნაკრებში თავი სხვებმაც გამოიჩინეს. იმედია, უახლოეს მომავალში, ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან დიდ სპორტში, ჭრიკიშვილი კი ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის უპირველესი კანდიდატია.

*რუბრიკას უძღვება* ***ირაკლი თავაძე***

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

C M Y K